

საერთო გეგმითი

№30 (441) • 23 აგვისტო, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

ვასტანბ სარჩილავა: დიდი ღალატის ანატომია



გამაოგნებელი პარადოქსია, როცა „ნაცმოძრაობა“, გარე ოკუპანტის გამოჩენამდე, თვითონ მოგვევლინა შიდა ოკუპანტის როლში და შიდა ქართლი სამხრეთ ოსეთად გამოაცხადა, კოდორის ხეობა – ზემო აფხაზეთად და ეს ყველაფერი ოფიციალურად გააფორმა.

ირაკლი გომოსია:
ყველა ჩვენების, მათ შორის ჩემი განსაკუთრებული მოვალეობაა, ვიზრუნო ზუბდიძეზე, რომორც საკუთარ სახლზე



„არა ცილი სნაგო მოყვანსა უნესა, ნაგებითა ცრუითა“



ბაია აგაშუკელის ღია ნერილი თაქო ჩარკვიანს

ვინ გაქარცვა აჭარა და ვინ უკვეთდა რეგიონში არასასურველი პირების ეკვლელობებს?



აჭარის შსს ოპერატიული დაზვერვის ყოფილი უფროსის **ჩემო რომანაძის სკანდალური ინტერვიუ**

მამისა ჯაფარაშვილი:
ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები მავანხეობას ეწევიან, საქმე ძალიან ცუდადაა!



მურმან კვარაცხელია:
უახლოეს მომავალში, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნების შესანი, ფაქტობრივად, არ არსებობს

ფაქრად თანიგბულიანი:
ვინ ამღვრავს წყალს ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის სართიჭალაში?

დიდი ღალატის ანაზორია



ვახტანგ ხარცილაძე

ამ წერილს ვუძღვნი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ნათელ სსოვნას.

დავით სერგეენკოს განცხადებას მცოცავი ოკუპაციის შესახებ დიდი გნაისი და აუიოტაჟი მოკვება „ნაციონალების“ მხრიდან, რომლებიც ბოლო ხანებში განსაკუთრებული ენთუზიაზმით აწვებინან პატრიოტობას და საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ქვეყნის გულდათუთქული ჭირისუფლები და პატრონები მხოლოდ ისინი არიან, ხოლო დანარჩენი ყარტაყურტა ქართველები შორიდან მშვიდად უყურებენ ქვეყანაში მიმდინარე საგანგაშო პროცესებს.

კი, მაგრამ, რა თქვა დავით სერგეენკომ ისეთი, რაც აქამდე არ თქმულა?

განა ვინმესთვის აქამდე უცნობი იყო, რომ რაც დღეს ხდება ცხინვალის რეგიონში თუ აფხაზეთში, პირდაპირი შედეგია იმ შეცდომებისა თუ გააზრებული და მიზანმიმართული დანაშაულებრივი ქმედებებისა, რაც წინა ხელისუფლებამ, ანუ „ნაციონალბრამ“ და მისმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ჩაიდინა!

სრულიად გასაგები მიხეზების გამო, როცა სეპარატისტული რეჟიმების მიერ ტერიტორიების მიტაცებაზე, შემდგომ კი ამ ტერიტორიების დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ გადმოცხადებაზე ვსაუბრობთ, მთავარ აქცენტებს 2008 წლის აგვისტოს ომზე ვაკეთებთ, თუმცა ყურადღების მიღმა გვრჩება ომის წინა პერიოდი და ის მოვლენები, რომლებიც ამ ომს უძღვოდა წინ.

როცა ომის წინა პერიოდის ქრონიკას თანმიმდევრულად აღვადგენთ და გავაანალიზებთ, შეიძლება გამოვჩვენებულ, შოკისმომგვრელ დასკვნამდე მივიდეთ – საქართველოს იმ-

ჟამინდელი ხელისუფლება, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, მიზანმიმართულად ქმნიდა ისეთ იურიდიულ-სამართლებრივ დოკუმენტაციას, რომელიც მომავალში აუცილებლად შეუწყობდა ხელს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას.

ძალიან ცუდ რაღაცას ვამბობ, ხომ?

დიახ, დიახ, ძალიან ცუდ რაღაცას ვამბობ, თუმცა ვამბობ ფაქტებით, დოკუმენტებით, სათანადო ხელმოწერებით, სათანადო საკანონმდებლო პროცედურებით და აქტებით გამაგრებულ-განმტკიცებულ ფაქტს, რომელიც არავისთვის არ წარმოადგენს დიდ საიდუმლოს.

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერები ხშირად იმეორებენ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა პროვოკაციაზე წამოაგო საქართველოს ხელისუფლება და აიძულა ის ომში ჩართულიყო, მაგრამ იმ ნაბიჯებს თუ გავიხსენებთ, რასაც საქართველოს ხელისუფლებამ ომის დაწყებამდე დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში დგამდა, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პროვოკაცია გაცილებით ადრე დაიგეგმა და მის განხორციელებასა და აღსრულებაში მთავარი როლი სწორედ „ნაციონალბრამ“, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ ითამაშა.

– ეს რა გაუგონარ მკრეხელობას ამბობთ? როგორ, საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმა პროვოკაცია? საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმა პროვოკაცია? – შემომდეგებინა, ალბათ, „ნაციონალები“ და მათი ფანები.

სანამ ამ კითხვას პასუხს

გავცემდეთ, მოდიტ, მივყვეთ მოვლენებს და ვნახოტ, რას დადადებენ ფაქტები.

2006 წლის შემოდგომა-დან საქართველოს კრპზი-დენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს კოდორის ხეობას სახელი შეივსოლოს და ეწოდოს ზემო აფხაზეთი, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ასევე საფხავეთს, ყოველგვარი ვერატი წოდება უკლებს, სინტაქსურად მოიხსენიებს სამხრეთ ოსეთად, მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე 17 წელია გაუქმებულია და ის, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ქართულ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს.

მიხეილ სააკაშვილმა თითქოს არც იცის ეს ამბავი და წარამარა იმეორებს სახელწოდებას – სამხრეთ ოსეთი.

პარალელურად გრძელდება კოდორის (დალის ხეობის) ზემო აფხაზეთად მოხსენიება, თუმცა ამ ხეობას საქართველოს ისტორიის არც ერთ მონაკვეთში ზემო აფხაზეთი არ რქმევია.

მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ყოველგვარი დასაბუთების და მოტივაციის გარეშე ჯიუტად აგრძელებს სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად და კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად სახელწოდებების დასახელებას, რითაც მიზანმიმართულად ცდილობს, საზოგადოებას ყური გაუხედოს ამ ახალი ტერმინებით.

არსებობს უამრავი საარქივო მასალა – მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლები, ინტერვიუები, სააკაშვილის

განცხადებები სამთავრობო სხდომებზე და ასე შემდეგ, რომლებშიც დოკუმენტურად არის ასახული და დაფიქსირებული ის, რაც ზემოტ ვთქვით.

სამწუხაროდ, ამ აშკარად საეჭვო, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის პიარკამპანია არც საზოგადოების მხრიდან მოპყვოლია დიდი პროტესტი და არც პოლიტიკური წრეებიდან.

ცხადი იყო, სააკაშვილს რაღაც სერიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არც მას აუხსნია და არც სხვები ჩაძიებინა, რას ემსახურებოდა ეს ჩანაფიქ-



რი, რა იყო ამ ჩანაფიქრის მთავარი დედაპირი და რით იყო ის სასარგებლო და აუცილებელი ქართული სახელმწიფოსთვის?!

ამ კითხვებზე პასუხი, რაც არ უნდა უცნაურად მოგჩვენოტ ეს, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაიცა, როცა „ნაციონალბრამ“ მიერ წინასწარ მომზადებული იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე, ფაქტობრივად, მოიხსნა ყველანაირი სამართლებრივი ბარიერი, რაც მანამდე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას ხელს უშლიდა.

მე ძალიან კარგად მესმის, რომ რაღაც გამოგონებელ და დაუჯერებელ ისტორიას ვეყვები რომელიც ძალიან ჰგავს სამშობლოს დაღატს, რომელიც მთელი ერის თვალწინ, ღიად და დაუფარავად განხორციელდა, ჩვენ კი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამ დაღატის აღკვეთა და შეჩერება ვერ შევძელიტ, რის მწარე შედეგებსაც დღეს ვიძკით.

იმდენად თავზარდამცემ ამბებს ვეყვები, შეიძლება მკითხველს ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ვგონოს, თუმცა,

როგორც წერილის დასაწყისში მოვახსენოტ, მე არაფერს არ ვიგონებ – უბრალოდ, იმ ამბებს ვიხსენებ, რომლებიც ჩვენს თვალწინ, თქვენს თვალწინ, ყველას თვალწინ, საჯაროდ და სახალხოდ ხდებოდა.

2007 წლის 10 მაისის დადგენილებით, რომელსაც ხელს მიხეილ სააკაშვილი აწერს და რომელიც შემდეგ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, სადაც სულ მალე არჩევნები ჩატარდა და ამ ახლად მოვლენილი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად, არა ხელმძღვა-

ნელად, არა ადმინისტრაციის უფროსად, არამედ, ხაზს ვუსვამ, პრეზიდენტად, არჩეული იქნა დიმიტრი სანაკოევი.

თუმცა დაგვაიწყდა გვეთქვა, რომ სანამ ქართველთ-მოძულებობაში ეჭვმიტანილი დიმიტრი სანაკოევი გახდებოდა, მანამდე, ზემოთხასსენები დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში შეეყვანილი იქნა ახალგორის რაიონიც.

ახალგორთან დაკავშირებით კიდევ ერთ, უაღრესად საინტერესო და საყურადღებო დეტალს გაგახსენებტ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, ხოლო საქართველოს ცეკას მიდიანი გივი გუგუშვილი იყო, ვროვნული მოძრაობისა და ახალგორის რაიონის ქართველობის დაჭინვებული მოთხოვნით ახალგორი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გაემთყო, ანუ ახალგორი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უკვე აღარ შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც, როგორც



„საერთო გაზეთი“
 გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიჭყვა“
 მის: თბილისი, ალფაშინაბლის 164;
 ტელ.: 2 34 28 97;
 E-mail: saertogazeti@yahoo.com
 რეგისტ. №202375349; შპს (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის პრესს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებამდე ერთი პერიოდის ვალდებით. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. იზაქძევაა შპს „ასაპალ-დასაპალის“ სტამბაში; თბილისი, ალფაშინა 39 © ამ ნომრით აღნიშნულია საგამომცემლო მასალები.



ჯემოთ ვთქვით, მოგვიანებით საერთოდ გააუქმდა საქართველოს უზენაესმა საბჭომ.

აი, ასეთი ისტორიის მქონე რეგიონი, ახალგორი, თავის ქსნის ხეობიანად, რომელიც მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, აიღო და მათ მიერვე შეკოწიწებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში წიხლებით შეტენა, პრეზიდენტად კი ათას ავტომატზე გადაძნობილი დიმა დაასვა თავზე!

საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, კი ვთქვით, მაგრამ რამდენად გამართლებულია ამის ჩამდენი ადამიანები საქართველოს ხელისუფლებად, საქართველოს პრეზიდენტად ან საქართველოს პარლამენტის წევრებად მოვიხსენიოთ?

იქნებ, ვინმემ მითხრას, იქნებ, ვინმემ ამისხნას, რა მიხედავს, რა სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შექმნა და ახალგორის რაიონის ამ ადმინისტრაციის საზღვრებში შეყვანა, რითაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საზღვრები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ საზღვრების მონახაზში ჩაჯდა, რაც ამ ოლქს საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა?

შემთხვევით, არა საბჭოთა კავშირის დროინდელ, არამედ „ნაციონალიზმის“ ხელისუფლების და მისი ლიდერის სააკაშვილის მიერ „დახატულ“ ახალ რუკას ხომ არ გვიფრიალებენ რუსები ცხვირწინ, სადაც ნათლად და მკვეთრად ჩანს ის საზღვრები, რომლითაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი ნამდვილ და რეალურ სამხრეთ ოსეთად აქცია საქართველოს ხელისუფლებამ.

ერთმა ფრანგმა დიპლომატმა ახალგორის მოსახლეობას ასეთი რამ უთხრა: ევროპა და ევროკავშირი რით და როგორ უნდა დაგხმარონ, როცა თქვენს ხელისუფლებას დოკუმენტურად, იურიდიული ნორმების სრული დაცვით უღიარებია სახ-

რეთ ოსეთის არსებობაო? კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას: „ნაციონალიზმი“ შიდა ქართლის ეს უკველესი ქართული ტერიტორიები ოფიციალურად სამხრეთ ოსეთად რომ გადა-

ნათლა, რა ჰქვია ყოველივე იმას, თუ არა ღალატი? კი, ბატონო, ვთქვით და არ არის ეს ღალატი, მაშინ ის მიბრძანეთ, ნაციონალიზმი, რა ჰქვია ამას და რა არის ეს?

თქვენ თვითონ დაარქვით სახელი, თქვენ თვითონ ახსენით, რისთვის იყო საჭირო ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამ წარმოუდგენელი მასშტაბების ავანტურის განხორციელება?

ტერმინ სამხრეთ ოსეთის ოფიციალურად დაკანონების პარალელურად იმაზეც იზრუნეს, რომ წილკნის ეპარქია ცხინვალის ეპარქიას გადასცემოდა.

თითქმის იდენტური მეთოდებით იმუშავა ნაციონალური ხელისუფლებამ კოლორიის ხეობასთან მიმართებაში – კოლორიის ხეობას სახელი გადაარქვა, მას ჯემო აფხაზეთი უწოდა, აღვიღო ბორცვი მოსახლეობა კი, რომელიც ფლავის განმავლობაში გვირუქლად იცავდა ხეობას, განაიარაღა, რის შემდეგაც 2008 წლის აგვისტოში ამ აუღებელი, სტრატეგიულად ურთულესი ხეობის აღება მთავრდა თითქმის უბრძოლველად, ყოველგვარი დანაპარაკების გარეშე შეძლეს.



გავრცელებულ ხმებს თუ დაუჯერებთ, კოლორიის ხეობის უბრძოლველად გადაცემაში ქართულმა მხარემ დიდი ფული აიღო. სახელდებოდა ციფრი – 50 მილიონი დოლარი, სახელდებოდნენ პირები, რომლებიც ამ ფინანსურ გარიგებაში მონაწილეობდნენ, სახელდებოდნენ შუამავლები და ა. შ. თუმცა ეს ყველაფერი არც მაშინ და არც შემდეგ, სათანადო გამოძიების საგანი არ გამხდარა.

სანამ 2008 წლის აგვისტოს ომი მოხდებოდა, „ნაციონალიზმი“ ხელისუფლებამ, ახსოვს თუ არა მოკლებული ქვეყნებით, აროციციანი განუხატავდა არა ქართულ სახელმწიფოს, არამედ აფხაზ და ოს სეპარატისტებს.

იქნება შთაბეჭდილება, რომ „ნაციონალიზმი“ სეპარატისტული რეგიონებისთვის წინასწარ ქმნის ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას გააადვილებს.

საქართველოს ხელისუფლების თავდადებული მეცადინეობით, სამხრეთ ოსეთი ქაღალდზე უკვე არსებობს, ზედ ქართული სახელმწიფოს ბეჭედი აქვს დასმული და პრეზიდენტის ხელმოწერაც აშვენებს, კოლორიის ხეობას უკვე ჯემო აფხაზეთი ჰქვია და ესეც სათანადოდ არის დამოწმებული-დაკანონებული, ახლა საჭიროა ერთი პატარა, ლოკალური ხასიათის ომი, რომ ეს ტერიტორიები მოწინააღმდეგე მხარემ გადაიბაროს და გადაიფორმოს.

დოკუმენტები უკვე მზად არის. ახლა ომი უნდა მოხდეს... და ეს ომიც მოხდება...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის, თითქმის 25 წელიწადია, მთავარი ამოცანა, მთავარი დევიზი, მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, იმ დოკუმენტებით, რომლებიც „ნაციონალიზმი“ შექმნა, ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა არა საქართველომ, არამედ ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ყოფილი ადმინისტრაციული

საზღვრების ფარგლებში აღიდგინეს სეპარატისტულმა რეგიონებმა – აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა!

არ არის ეს გამოგნებელი პარადოქსი, როცა „ნაციონალიზმი“, გარე ოკუპანტის გამოჩენამდე, თვითონ მოგვევლინა შიდა ოკუპანტის როლში და შიდა ქართული სამხრეთ ოსეთად გამოაცხადა, კოლორიის ჯემო – ჯემო აფხაზეთად და ეს ყველაფერი ოფიციალურად გააფორმა.

„ნაციონალიზმი“, სახელმწიფოებრივ „ნაციონალიზმი“, „ნაციონალიზმი“ ბიკავშირ-მაგიდავილო



პარტიზმ, დღეს მავთულ-ხლართების გასწვრივ რომ დაბორიანობთ და კატრიტოზანას თამაშობთ, სად იყავით მაშინ და რატომ არ იღებდით ხმას, როცა აგვისტოს ომამდე გაცილებით ადრე „ნაციონალიზმი“ ხელისუფლებამ და მისი ბელადი ქალაქმა ავღუბდა საზღვრების აღმნიშვნელ ხაზებს, რომლებსაც მოგვიანებით აუცილებლად გამოჰყვებოდა ნამდვილი საზღვარი – თავისი მავთულხლართებით, განმარტებით, მსაჯულთაგან, სამხედრო ტექნიკით.

„ნაციონალიზმი“, სახელმწიფოებრივ „ნაციონალიზმი“, „ნაციონალიზმის“ ბიკავშირ-მაგიდავილო პარტიზმ, გიფიქ-

რათ თქვენ ოდესმე, რატომ არ აღიარა რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის აგვისტოს ომამდე და რატომ აღიარა მაინცდამაინც ამ ომის შემდეგ?

რატომ და იმიტომ, რომ ამ ომამდე საქართველო აკონტროლებდა ამ სეპარატისტული რეგიონების ტერიტორიების ნაწილს, ომის შემდეგ კი ამ რეგიონებმა აღიდგინეს ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ამ საზღვრების დაფიქსირებასა და დაკანონებაში კი, რაც არ უნდა გასაკვირი იყ-

ოს ეს, მათ საქართველოს ხელისუფლება ჯერ იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებით, მოგვიანებით კი დამარცხებისთვის განწირულ ომში ჩაბმით დაეხმარა, რომლის შედეგებიც ნებისმიერმა ოდნავ გონიერმა ადამიანმა წინასწარ იცოდა, ოღონდ, რატომღაც არ იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც დღემდე თავს იმით იმართლებს, რომ, თურმე, პროვოკაციაზე წამოაგვს და აიძულებს საბრძოლო მოქმედებებში ჩართულიყო.

– ქართული სოფლები ინტენსიურად იბომბებოდა და რა უნდა გვექნა? – ისე გულუბრყვილოდ, ბავშვურად და მიამიტურად კითხულობს სააკაშვილი, შეიძლება შეგეცოდოს.

უყვარს მას თავის მოსულელება და მოკატუნება – ისე მოგაჩვენებს ხოლმე თავს, თითქოს ერთი ალალი და უემშაკო კაცია, რომელიც რთულ სიტუაციებში თავისი სიალალის გამო „იბნევა“ და ბავშვურ გადაწყვეტილებებს იღებს.

რა უნდა გვექნაო, რომ კითხულობს ეს „მიამიტი“ სააკაშვილი, რა უნდა ექნა და ის უნდა ექნა, რაც 12 აგვისტოს თავისი საპრეზიდენტო პოსტის, თავისი ძალაუფლების გადასარჩენად გააკეთა – მსოფლიო ლიდერებისთვის უნდა ეხმო, ცა და მიწა უნდა შეეძრა, რომ არ მომხდარიყო ის, რაც 2008 წლის აგვისტოს თვეში მოხდა.

(დასასრული იქნება)

ირაკლი ბოგოშია:

ყველა ჩვენგანის, მათ შორის ჩვენი განსაკუთრებული მოვალეობაა, ვიზრუნო ზუგდიდზე, როგორც საკუთარ სახლზე



გვესაუბრება ქალაქ ზუგდიდის მერი, ბატონო ირაკლი ბოგოშია.

ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ ბოლო სამი წლის მუშაობის შედეგებს, რა გაკეთდა ამ დროის მანძილზე ქალაქ ზუგდიდში?

ამ პოსტზე არჩევის დღიდან აქამდე ჩემი სამაგიდო წიგნია ბლოკნოტი, სადაც სამი წლის წინ, ქალაქ ზუგდიდის მერობის კანდიდატად ყოფნის პერიოდში, ხალხთან შეხვედრებისას, მათ მიერ დასმულ საკითხებსა და მოსაგვარებელ პრობლემებს ვინიშნავდი. მოსახლეობა უპირველეს პრობლემად უმუშევრობას ასახელებდა; ბოტანიკური ბაღის, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას, გარე განათების მოწყობას, სტადიონის მშენებლობას, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციას, თეატრის მშენებლობასა და რეაბილიტაციას. ძალიან ბევრი პრობლემა დაგვხვდა ქალაქში.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ორი წელი ვიმუშავეთ პროექტზე. ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის სატენდერო დოკუმენტაცია უკვე მზად არის. რეაბილიტაცია ოქტომბრის დასაწყისში დაიწყება და 2019 წლის პირველ ნახევარში დასრულდება. ძალიან დიდი და შრომატევადი სამუშაოები გავწიეთ. თავდაპირველად, რეაბილიტაცია 3 მლნ ნახევარზე იყო გათვლილი, თუმცა ხარჯთაღრიცხვა მინიმუმ სამჯერ გაიზარდა. შესაბამისად, რეაბილიტაციამ სხვა, ბევრად მასშტაბური დატვირთვა მიიღო. ბედნიერი ვარ, რომ ბოტანიკური ბაღი, ზუგდიდის საეპიტო ბარათი, ძალიან მალე ისევ დაიბრუნებს ადრინდელ სახეს და მეტიც, უკეთესი გახდება.

თეატრის რეაბილიტაციას რაც შეეხება, საპროექტო სამუშაოები უკვე დასრულებულია, აგვისტოს თვეში „ქართუ ჯგუფი“ დაიწყებს მის სრულ რემონტს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს ათეული წლების მანძილზე აწვიმდა. მისი კეთილმოწყობისთვის მილიონ ლარზე მეტი დაეხარჯეთ და ახლა ქალაქს ერთ-ერთი საუკეთესო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი აქვს.

დღეის მდგომარეობით, მერიის ბალანსზე არსებული ყველა სპორტული დარბაზი რეაბილიტირებულია, ან მიმდინარეობს სამუშაოები.

ზუგდიდელი ამომრჩევლების დაკვეთა იყო ქალაქში ფეხბურთის სტადიონის აშენება. 2016 წლის თებერვალში ჩავუყარეთ საძირკველი, ოქტომბრის თვეში უკვე დაწყებული UEFA-ს მესამე კატეგორიის სტადიონის მშენებლობა დასრულდება.

ძალიან დიდი პრობლემა იყო ქალაქში სანიაღვრე არხებისა და კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება. ამ მიმართულებით ქალაქში სრული მონიტორინგი განვახორციელეთ. შევისწავლეთ მოქალაქეთა ასობით განცხადება. 7 მილიონ ლარის პროექტები გვაქვს უკვე გამზადებული. პარალელურად ვახორციელებთ სამუშაოების დაფინანსებას. 75 ქუჩაზე უკვე მოვაწესრიგეთ სანიაღვრე არხები. ამჟამად, სამი მასშტაბური სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. 200 კომლის პრობლემას მოვხსნით ამ პროექტის განხორციელებით. მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება ამ მიმართულებით.

მერიის საქმიანობისთვის პრიორიტეტულია - წყალმომარაგებისა და წყალარინების პრობლემები; ორივე პროექტის განხორციელება

დაწყებულია, ორივეზე, ჯამურად, 160 მილიონზე მეტი დაიხარჯება. 2018 წლის ბოლოს ზუგდიდში სასმელი წყლის, 2020 წლის დასაწყისში კი წყალარინებისა და კანალიზაციის პრობლემები სრულად მოგვარდება. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში გამწვანდნიანების მშენებლობა იგეგმება, რასაც 30 მილიონი ლარი მოხმარდება.

ქალაქის ცენტრში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (შპმ) ტროტუარებით სარგებლობა გახდა შესაძლებელი. ეტლით მოსარგებლეთათვის 50-ზე მეტი პანდუსი მოეწყო. გაიზარდა შპმ პირთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, რასაც ხელი მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შეღწევადობის უზრუნველყოფამაც შეუწყო.

მერიის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მობინადრეთა ფინანსური მონაწილეობით და ჩვენი თანადაფინანსებით ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა. ჩვენ 70, 80, 90 პროცენტით ვაფინანსებთ მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ და გამოვლენილ პრიორიტეტულ პროექტებს. შარშან 100 000 ლარი, წელს კი თითქმის 200 000 ლარი დაეხარჯეთ ამ მიმართულებით.

სრული რეაბილიტაცია ჩატარდა ქალაქის № 10, № 12 და № 13 საბავშვო ბაღებს. მიმდინარე წელს ორი საბავშვო ბაღი აშენდება. დევენილთა ახალ დასახლებებში, თაბუკაშვილისა და პარიზის ქუჩებზე, № 4 ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩატარდება.

ძალიან მალე დაიწყება ქალაქის ცენტრალური ბულვარის რეაბილიტაცია. დაიწყება აგრეთვე ჭადრაკის სასახლის რემონტიც. უახლოეს ხანში საცურაო აუზის რეაბილიტაციასაც დაიწყებთ.

ქალაქის კეთილმოწყობა-დასუფთავების მიმართულებით რა ვითარებაა?

ჩვენ ვაცხადებდით, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა დასუფთავების სფეროს.

ეს განსაკუთრებით აქტუალურია. ქალაქში 475 ქუჩა და ჩიხია. დასუფთავების სამსახური ადრე მხოლოდ 200 ქუჩას ემსახურებოდა. ახლა დასუფთავების სერვისით აბსოლუტურად ყველა ქუჩა და ჩიხი სარგებლობს. მოქალაქეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებას. ერთ სულ მოსახლეზე მინიმალური თანხა, 50 თეთრია დაწესებული. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა გადასახადის გადახდისგან თავისუფალია, ოთხ და მეტსულისანი ოჯახი კი მხოლოდ 2 ლარს იხდის. მაღლობას ვუხედი ზუგდიდელს, დასუფთავების გადასახადს დროულად იხდიან და ამ მიმართულებით პრობლემები არ არსებობს. დასუფთავების სერვისის გაუმჯობესება მათი დამსახურებაა.

რამდენად მიმზიდველია ქალაქი ტურისტებისთვის?

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობაა. მერიის შესაბამისი სამსახური აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. მომზადდა ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვანი საიმიჯო კლიპები ქალაქზე, გამოცა წიგნები თანდართული დისკებით, გამოვეცით და უფასოდ ვავრცელებთ ქალაქ ზუგდიდის ტურისტულ რუქას. ქალაქისათვის როგორც სასულიერო, ასევე მისიონერული ტურიზმის განვითარების კუთხით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს - ვლაქერობას ქართულ და ინგლისურენოვანი ბუკლეტები მიუძღვნეთ და უფასოდ გავავრცელეთ. საქართველოში პირველად, ქალაქ ზუგდიდში ჩავატარეთ მეგრული ჯიმის ვაზისა და მეგრული ღვინისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რამაც ძალიან დიდი, დადებითი გამოხმაურება გამოიწვია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ქალაქში დაიდა რეპრესირებულია ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორიადი, იაკობ გოგებაშვილის, ანდრია დადიანის ძეგლები. უახლოეს პერიოდში, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე კოლხური ბრინ-

ჯაოს ხანის ძეგლის, ხოლო იონა მეუნარგიას სახელობის სკვერში კი, ვეფხისტყაოსნის “ თემატიკის პანოების განთავსებას ვგეგმავთ. ქალაქ ზუგდიდს დიდი სულიერი-კულტურული მნიშვნელობა აქვს, აქ ღვთისმშობლის სამოსელია დაბრძანებული, ამიტომაც მისიონერული ტურიზმის განვითარების კუთხით კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

შარშან სექტემბერში ზუგდიდობა აღვნიშნეთ. ვფიქრობ, ძალიან საჭირო და კარგ ღონისძიებას ჩავუყარეთ საფუძველი. საპატიო ზუგდიდელები და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე ავირჩიეთ. განსაკუთრებული ზეიმი გამოგვივიდა. საოცრად ერთიანი, შეკრული იყო იმ დღეს მთელი ქალაქი.

ბარემ ქალაქ ზუგდიდში დევენილთა საცხოვრებელ პირობებზე და მათ მდგომარეობაზე ვისაუბროთ.

მოვეხებებათ, ზუგდიდში დევენილთა განსაკუთრებულად ჭარბი რაოდენობაა. ჩვენი მუშაობის პერიოდში მთავრობამ მათთვის 10 საცხოვრებელი კორპუსი ააშენა და დევენილებს დაუკანონა. ამჟამად 24 დევენილთა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის მიქვს ხელი მოწერილი. აქედან ერთი კორპუსი უკვე ჩაბარდა მოსახლეობას. მიმდინარეობს ოთხი კორპუსის მშენებლობა. ტენდერი ექვსი კორპუსის სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე უკვე დასრულდა. უახლოეს ხანებში ქალაქის ტერიტორიაზე 5 პექტარი მიწის ფართობზე ერთი რაიონი აშენდება შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მათ შორის სპორტული, საბავშვო მოედნებითა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურით. უნდა აღვნიშნო, რომ ქალაქ ზუგდიდში დევენილი მოსახლეობა ადგილობრივების მსგავსად და თანასწორად სარგებლობს თვითმმართველობის ყველა სერვისითა და ბენეფიტით.

მოგვიყვით თქვენი ინიციატივების შესახებ მიზნობრივი ჯგუფების მხარდაჭერისა და წახალისების მიმართულებით.

ჯერ კიდევ მერობის კანდიდატად ყოფნისას, ამომრჩევლებს შევპირდი, რომ ამ კუთხით ქმედით ნაბიჯებს გადავდგამდი. მესამე



უახლოეს მომავალში, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნების შესახებ, ფაქტობრივად, არ არსებობს

გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შურბან კპარაძე.

– ბატონო შურბან, აფხაზეთში 25 წლის მერვე ვითარება კვლავ დაძაბულია. მოდით, საუბარი სწორედ ამით დავიწყოთ – რა მოხდა, რეალურად, როგორ დაგვარავთ აფხაზეთი?

– მსოფლიოში ორი განსხვავებული იდეოლოგია ერთმანეთს დაეჯახა, საით აიღო საქართველომ გზი? – ნეოლიბერალიზმიც იმით, რომ ჩვენდა საუბედუროდ, ყოველთვის, პოლიტიკური ელიტის მცირე ნაწილი, რომელიც ხელისუფლებაში მოდის, პოლიტიკის განმსაზღვრელი ხდება. ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებლად ამერიკასთან უნდა ვიყოთ და ნატოში შევიდეთ. ამ დროს ძალიან კარგად ვიცით, ნატოს გააჩნია შემდეგი პუნქტები: ჯერ ერთი ნატო თავად ამბობს, რომ გაფართოებას არ აპირებს და მეორეც, ახლ წევრ ქვე-

ამიტომაც დავისავთ. ჩვენ ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ. საქმე იმაშია, რომ მსოფლიო ბანკის გარეშე ვერაფერს ვაკეთებთ. მაგალითად, ქართული ეკონომიკის მაჩვენებელი ამბობენ: ამ წელიწადში, აუცილებლად, 4.5% ზრდა უნდა გვქონდესო. ჩამოდის საკვალუტო ფონდი და გვეუბნება: არა, თქვენ 4.5%-იანი კი არა, 2.5%-იანი ზრდა უნდა გქონდეთო. აქედან გამომდინარე, თავისუფალი ვართ? ჩვენ მოჩვენებითი თავისუფლებით ვარსებობთ, ეკონომიკა ძალიან დაბალ დონეზეა. მოდით, მთავარს მივუბრუნდეთ – აფხაზეთს. ერთი სიტყვით, რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ნიშნის მოგებით უნდა ელაპარაკო. გვინდა თუ არა, იგი ჩვენი მეზობელია. დიახ, არ მოგვწონს ის რაც ხდება იმითომ, რომ დღეს, მე დევნილის სტატუსი არ უნდა მქონდეს. ჩემისთანა დევნილი კიდევ 300 ათასი კაცია. ის რაზეც ზემოთ ვისაუბრე საფუძველთა საფუძველია რამაც აფხა-

ლება ჰქონდა. მას უფლება ჰქონდა სახელმწიფოს ყველა დაწესებულებაში შესულიყო და ყველა დოკუმენტი შემოწმებინა. ასევე, ადგილზე დაეპატიმრებინა ყველა პიროვნება. როგორც ჩანს, სტალინის მეთოდები, რუსეთში, დღესაც ძალიან კარგად მუშაობს. წარმოდგინეთ, იმ აფხაზ ათ კაცს არავინ არაფერს შეეკითხება. რუსების ათ კაცს შეუძლია აფხაზების ე.წ. პრეზიდენტის კი, ქვეყნის უსაფრთხოებასთან მიმართებაში, ნებისმიერ სიტუაციაში დააპატიმროს, ციხეში გაუშვან და ლიკვიდაცია კი მოუწყონ. აი, ასეთ ორგანოებს ქმნის რუსეთი. ამის მერე დასკვნის გაკეთება შეგვიძლია: ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზები უკვე არავინ არიან, ისინი როგორც ასეთი არ ფუნქციონირებენ. აფხაზები სულ 60–70 ათასი არიან. იმ პერიოდში 93 ათასი იყვნენ. თუმცა, ერთ-ერთმა მაშინდელმა თანამდებობის პირმა – აფხაზმა ჩემთან საუბარში თქვა: რა 93 ათასი, სინამდვილეში, 60 ათასი იყო და მერე, 33 ათასი ჩვენ თვითონ მოვუმატეთ ორ-ორჯერ ჩაწევრით ერთი და იგივე პიროვნება ვითქვათ, გუდაუთამიც და სოხუმშიცო. დღეს, ამბობენ 125 ათასი ვართო. ასე რომ იყოს ყოველწლიურად 8 ათასი ახალშობილი უნდა დაიბადოს. სინამდვილეში, იცით რამდენია მატება – წელიწადში 400 ბავშვი. აღსანიშნავია ისიც, რომ იქ, სომხები დაახლოებით, 120 ათასზე მეტი არიან. ისინი უკვე სამ რაიონში – ტყვარჩელში, ოჩამჩირესა და გულრიფშეში ე.წ. კულტურულ ავტონომიას ითხოვენ. სამი რაიონი რომ შევივსოთ, დაახლოებით, 200 ათასი ადამიანი საჭირო. ანუ, სომხებს 120 ათასი ადამიანი ხომ ჰყავთ და ერთი იმდენი კიდევ სტარტზეა. ისინი ამ რეგიონებში არავინ შეუშვებენ და ეს მთლიანად სომხური რეგიონი იქნება.

– ამას რუსეთი დაუშვებს?

– ვფიქრობ, რუსები ამას არ დაუშვებენ. თვითონ აფხაზებიც ხვდებიან რასთან არის დაკავშირებული ყოველივე და რისი მომტანია. აფხაზები მთლიანად რიცხონობით ნახევარ სოხუმსაც ვერ აითვისებენ. აფხაზეთში სულ 440 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, აქედან, დაახლოებით, 180 ათასამდე მარტო სოხუმში იყო. აქედან გამომდინარე, ამას ძალიან სერიოზული სტრატეგიული ანალიზი სჭირდება. დღეს ნეოლიბერალიზმის მამები რომ გვეუბნებიან: იცით, რა რუსებთან საერთო ენა



ენას ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, რუსეთი გვაფრთხილებს: რაც ინფრასტრუქტურა გააჩნიათ, თუნდაც, ნატოს მხრიდან გაკეთებული, ნახევარ საათში ფერფლად იქცევაო. მათ აფხაზეთში სამი სამხედრო ბაზა აქვთ. აშშ-ს წლიური თავდაცვის ფონდი 600 მილიარდია, რუსეთის – 90. რას აკეთებს რუსეთი ამ ფონდით? რა უჯდება მეხუთე თაობის თვითმფრინავები რუსეთს და რა უჯდება ამერიკას? – ამერიკას მილიარდი, რუსეთს კი მხოლოდ 200 მილიონი უჯდება. ხომ არის სხვაობა?! ამიტომ, რუსეთი ჩვენ ძალიან სერიოზულად გვესაუბრებს ჩვენთვის არჩევანში გამო, რომელიც წლების წინ გავაკეთეთ.

ეს უბედურება რასაც რუსეთი ჰქვია 90-იან წლებში ჩვენი გამოუცდელი გამოსავალია და არც დავიტყუებთ. ჩვენ 90-იან წლებში შანსი გვქონდა სწორი პოლიტიკის არჩევის შემთხვევაში ამ განსაცდელიდან ყველაზე დაუზიანებლად, წარმატებულად გამოვსულიყავით. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის განვითარების პოლიტიკა არ ავირჩიეთ. რუსეთს ჯერ არც აფხაზეთი ჰქონდა დაპყრობილი და არც სამხრეთ-ოსეთი და უკვე ოკუპანტს ვეძახდით და ომს ვუცხადებდით. პოლიტიკის მთავარ ორიენტირად ეს სულსიკვებება რომ ავირჩიეთ,

ზეთი დაგვაკარგინა. ამ საკითხზე ნაკლებად საუბრობენ. ამბობენ: ჩვენ აფხაზებთან საერთო ენა უნდა გამოვინახოთო. აფხაზებთან საერთო ენას ვერაფერს ვამონახავ. მე მაშიდაშვილები მყავს და შემიძლია მათთან ურთიერთობა, მაგრამ ეს ადამიანებს შორის ურთიერთობის დონეზე არ წყდება. დავიბრუნოთ აფხაზეთი გავიძახოთ, მაგრამ ეს ამ გეო-პოლიტიკურ სიტუაციაში როგორ უნდა მოხერხდეს?! ეს არის უმთავრესი და მტკივნეული საკითხი. საერთოდ, გეო-პოლიტიკური სიტუაციის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნება უნდა მოხდეს.

– თქვენ ახსენეთ, რაც გვჭირს ჩვენ არასწორი პოლიტიკის შედეგია. რა გამოსავალია, სად არის ხსნა?

– ადამიანი რაღაცას ხომ უნდა დაეყრდნოს. ვიძახით – დავიბრუნოთ აფხაზები, გამოვინახოთ მათთან საერთო ენაო, ეს აბსურდული სპეკულაციაა – ისე როგორც ჩვენ არ გვეკითხება არავინ, არც აფხაზებს და ოსებს ეკითხება ვინმე რამეს. ერთ რამეს გეტყვით: რუსებმა შექმნეს განსაკუთრებული ჯგუფი – საინფორმაციო გაცვლითი ცენტრი. ისმის კითხვა: რა ცენტრია ეს? თავის დროზე სტალინს ჰყოლია თავისი პირადი სტრატეგიული დაზვერვა, რომელსაც სტალინის ხელით დაწერილი უფლებამოსი-



იცინა, არ აინტერესებთ წარსული, აწმყო, მომავალი. ჭკვიან ხალხს თანამდებობებზე არ უშვებენ. ასეთ სიტუაციაში ვართ. საით მივიღებთ? არის კი დღეს რეალური პირობა და ჩანს კი გვიარაბის ბოლოს შუქი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება? დღევანდელი გადასახედიდან ეს არ ჩანს. ანუ, არცერთი პოლუსი არაფერს არ დათმობს. დღეს იცით სად არიან სამხედრო ტექნოლოგიების მამები? – ამერიკაში, ისრაელსა და ინგლისში. აქ წყდება მთელი სამხედრო ტექნოლოგიების თანამედროვე დონე. ამ პოლუსში არსებობს ისეთი მთაბაშვი მონსტრი, რომელსაც რუსეთი ჰქვია. ჩვენი დღევანდელი გადასახედიდან აფხაზებს და ოსებს დაველაპარაკებთ თუ არა, ელემენტარული მანსიც კი არ გაგვანია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გადავჭრათ.

სულხან-საბადან მოყოლებული დღემდე დაგრებიართ და გავიძახოთ გვიშველითო. ვინმემ გვიშველა?! მთავარი არ მითქვამს – ჩვენი პოლიტიკური ელიტა ვერ ითვალისწინებს ყველაზე მთავარს: ამ დიდ სახელმწიფოებს თავისი ინტერესები აქვთ. ისინი ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამენ, თავისი ინტერესის საზიაროდ ერთი სანტიმეტრითაც არ დაინებენ უკან.

– ხო არ არსებობს საშიშროება, რომ ამომავლად პროექტი – საქართველოს მინუს აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი და პლუს ნატო.

– დიახ, ამაზე ძალიან ბევრი მიფიქრია, ეს დრო ძალიან რეალურად დადგება. ვფიქრობ, სწორედ აქეთკენ მიდის ყველაფერი. ჯერ-ჯერობით ვერ გვეუბნებიან, მაგრამ ზეალ-ზეგ აუცილებლად გვთხოვენ აფხაზეთის აღიარებას, იგივე, ცხინვალის აღიარებას. გვეტყვიან: დათმეთ ეს რეგიონები, ჩვენ ავერ არ ვართო. ევროკავშირი, ამერიკელები ამ რეგიონებში მუშაობენ, ამბობენ, ამ კუთხით საქართველოს ხელისუფლებასაც ვიმუშავეთ, რათა ეს ტერიტორიები აღიარონო. ერთ მშვენიერ დღეს ხომ შეიძლება არაღიარების პოლიტიკა აღიარების პოლიტიკად იქცეს? ვინ გააძღვეს გარანტიას რომ ასე არ მოხდება?

თამარ შველიძე
555 23 28 24



უსაზღვრო ამბიციების მქონე რესპუბლიკელების „დედოფალი“ თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად რომ დაინიშნა (თუ იძულებით დაინიშნეს მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ოკეანისგაღმელმა „მეგობრებმა“), ერთმა ჭკუასაკითხავმა კაცმა გვითხრა, ეს ამ პარტიის „ვარდის“ დასაწყისია, ისინი მოკლე ხანში მამა-პაპურ ჭიჭილას ამოპირავენ და იმ რეიტინგზე მოსვამენ, რასაც რეალურად იმსახურებენო. ყველაფერი კარგი ისე ავიხედო, როგორც ეს „წინასწარმეტყველება“ ახლა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ინტელექტუალმა“ რესპუბლიკელებმა ხმების მხოლოდ 1,5% მიიღეს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, პარტია დატოვეს მეტნაკლებად წინაინამა წევრებმა, რამაც ბუნებრივია, პარტიის ისედაც მწირ რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედა, თუმცა „დარჩენილები“ ფარ-ხმლის დაფარას არ აპირებენ და ამომრჩევლის გულის მოგებას, კვლავ

ტელევიზიას, ბატონი ბერძენიშვილი დარწმუნებული ყოფილა, რომ ეკლესიის გარშემო აგორებული კამპანია ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში შედის, რათა ეს ინსტიტუტი დასუსტდეს და ქართულ ეკლესიაში, რომელიც ყველა გამოკითხვით მოსახლეობის უმრავლესობის ნდობით სარგებლობს, ექსპრემიერმა გაველენები მოიპოვოს. რესპუბლიკელები ამ განცხადებებით რამდენიმე კურდღლის დაჭერას ერთად ცდილობენ, ვითომ ქართულ ეკლესიას იცავენ ბიძინა ივანიშვილისგან, პარალელურად ეკლესიის დისკრედიტაციას ეწევიან, რაც ქართულ საზოგადოებაზე უფრო მეტად

მოქმედ ხელისუფლებას, რატომ გავიწყდებათ, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილის მეშვეობით მოხდა თქვენი აღზევება და ეს ხელისუფლება თქვენი თანაპარტიელებითა და სატელიტი „ენჯლოშნიკებით“ არის გაძევილი. „რესპუბლიკელების“ მხრიდან მათი კეთილ-ისმყოფელის, ბიძინა ივანიშვილის, კრიტიკა და ლანძღვა მათთვის ჩვეულებრივი ამბავია – ისინი ხომ მორიელის „მორალით“ ცხოვრობენ და, როგორც წესი, იმას კბენენ, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა. რესპუბლიკელებმა გვამცნეს, კრიზისია ქართულ ეკლესიაში და ჩვენი საარჩევნო კამპანიის



პარტია, რომელიც მორიელის „მორალით“ სსოვრობს



ბიძინა ივანიშვილთან და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაპირისპირებით ცდილობენ. მათ წინასწარჩვენოდ „რაციონალიზატორული“ მოთხოვნები „გამოაცხვეს“ და დავით ბერძენიშვილის პირით, რა თქმა უნდა „რუსთავი-2“-ის ეთერში გაახმაურეს. რესპუბლიკელებს ამ ეტაპზე სამი მოთხოვნა აქვთ: შეწყდეს რუსული გაველენა ქართულ ეკლესიაზე; ეკლესია რეალურად დამოუკიდებელი გახდეს, გათავისუფლდეს, როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციის გაველენისგან, მესამე მოთხოვნა კი ფინანსებს უკავშირდება. დავით ბერძენიშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილისა და ქართული ეკლესიის „მომაკვდინებელი ცოდვები“ შემდეგში გამოიხატება: ევროკავშირთან დაახლოება ნატოსთან გააციების თანხლებით, ესაა ბიძინა ივანიშვილის ხაზი და ეკლესია მას ამაში ეხმარება. ექსპრემიერ-მინისტრს დამატებითი „ცოდვა“ ჰქონია, ეს ეკლესიის დისკრედიტაცია ყოფილა, რასაც ასევე ბიძინა ივანიშვილის ხაზად აფასებს უმცროსი ბერძენიშვილი. როგორ ცდილობს ექსპრემიერი ივანიშვილი საპატრიარქოში მისი ინტერესების გატარებას, მან „კონკრეტული“ მაგალითებიც დაუსახვლა თავისუფალი სიტყვის „ფლაგმან“

დასავლელ პარტნიორებსაც გათვლილი. „დღემად პატივცემული“ დავითი (ბერძენიშვილი) ბრძანებს, დღეს ყველაზე დიდი პრობლემა საპატრიარქოსთვის ის მღვდელმთავრები არიან, რომლებიც კრემლის იდეოლოგიას ემხრობიან და ქვეყანაში რუსულ ინტერესებს დიად ატარებენ. ეს პრობლემა განსაკუთრებით გართულდა პრორუსული ხაზის გაძლიერებისა და არადასავლური, მეტიც ანტიდასავლური განწყობების გაღვივების პროცესში და სამწუხაროდ სასულიერო პირები, სინოდის წევრები ამაში აქტიურად მონაწილეობენ. ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ რუსეთის იდეოლოგიური და ორგანიზაციული მძლავრი სტრუქტურის გაძლიერებისა საქართველოში, ასევე წინააღმდეგი ვართ ეკლესიის შეზრდისა ხელისუფლებასთან, თუმცა მერე დაამატა ნებისმიერ ხელისუფლებასთან. ბატონი ბერძენიშვილის ამ განცხადებებმა თბილისის ექსპრემის ნიკო ლეკიშვილის წლების წინანდელი ნათქვამი გამახსენა, როცა ვანო მერაბიშვილმა ამერიკიდან „ამხილა“ „მამა-მარჩენალი“ შეეარდნაძე, ქართველები ადრე მოსკოვში დარბოდნენ თანამემამულეების დასაბუნბუნებლად, ახლა კი ვაშინგტონში დარბიანო. რესპუბლიკელებს მინდა ვკითხო, ასე რომ ლანძღავენ ბიძინა ივანიშვილსა და

მოხალისეების დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თურმე ეკლესია არ უნდა დაფინანსდეს. რაღაც არ ჰგავს ეს ეკლესიის გულშემოტკივარი პერსონების მოთხოვნას. რესპუბლიკელებს კიდევ ერთი „პრაქტიკის“ შეცვლა სურთ, უნდა შეწყდეს საპატრიარქოსთვის ერთ ლარად ჰექტრობით მიწის ნაკვეთებისა და სხვა ქონების გადაცემა. რესპუბლიკელების „ნორჩი“ მიღწევი ხათუნა სამხიძე მინიწებს, რომ ხელისუფლება შეზრდილია საპატრიარქოსთან, ისე როგორც საპატრიარქო ხარკად იღებს ხელისუფლებისგან უამრავ დაფინანსებას, მიწებს, რომელსაც სახელმწიფო გადასცემს ეკლესიას, იმისთვის, რომ საჭირო შემთხვევაში დაბალანსოს ხელისუფლებისთვის საჭირო პოლიტიკაო. ამის მაგალითად ქალბატონ სამხიძეს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, უკვე რუსეთის დუმის წევრის მიღება მოყავს. მიხეილ სააკაშვილი ერთ ლარად არც ურიგებდა უცხოელ თუ ადგილობრივ „ფავორიტებს“ ამ მიწებსა და სხვა უძრავ ქონებას, ეტყობა ამ პროდასავლელ „ინტელექტუალებისთვის“ მიუღებელი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მათი პროტესტი არ მოგვისმენია. არც ახლა აპროტესტებენ ამ ქონების უცხოელებზე გასხვისებას, პირიქით, თავგადაკლული მომხრეები არიან, რომ ქართული მიწები უცხოელებზე გასხვისდეს, აქაოდა, „ინვესტიციები“ შემო-

მოხალისეების დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თურმე ეკლესია არ უნდა დაფინანსდეს. რაღაც არ ჰგავს ეს ეკლესიის გულშემოტკივარი პერსონების მოთხოვნას. რესპუბლიკელებს კიდევ ერთი „პრაქტიკის“ შეცვლა სურთ, უნდა შეწყდეს საპატრიარქოსთვის ერთ ლარად ჰექტრობით მიწის ნაკვეთებისა და სხვა ქონების გადაცემა. რესპუბლიკელების „ნორჩი“ მიღწევი ხათუნა სამხიძე მინიწებს, რომ ხელისუფლება შეზრდილია საპატრიარქოსთან, ისე როგორც საპატრიარქო ხარკად იღებს ხელისუფლებისგან უამრავ დაფინანსებას, მიწებს, რომელსაც სახელმწიფო გადასცემს ეკლესიას, იმისთვის, რომ საჭირო შემთხვევაში დაბალანსოს ხელისუფლებისთვის საჭირო პოლიტიკაო. ამის მაგალითად ქალბატონ სამხიძეს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, უკვე რუსეთის დუმის წევრის მიღება მოყავს. მიხეილ სააკაშვილი ერთ ლარად არც ურიგებდა უცხოელ თუ ადგილობრივ „ფავორიტებს“ ამ მიწებსა და სხვა უძრავ ქონებას, ეტყობა ამ პროდასავლელ „ინტელექტუალებისთვის“ მიუღებელი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მათი პროტესტი არ მოგვისმენია. არც ახლა აპროტესტებენ ამ ქონების უცხოელებზე გასხვისებას, პირიქით, თავგადაკლული მომხრეები არიან, რომ ქართული მიწები უცხოელებზე გასხვისდეს, აქაოდა, „ინვესტიციები“ შემო-

ვაო. რატომ თვლიან ქართული მიწების განთავსებას ინვესტიციის მოზიდვად, მათ სინდისზე იყოს, მაგრამ ფაქტია, მათ მხოლოდ ქართული ეკლესია ეჩხიერებათ ყველში ძვლად და უძრავი ქონების მისთვის გადაცემა მიიჩნევათ დიდ დანაშაულად. ქართულ ეკლესიაში არსებული კრიზისის „უტყუარ“ მტკიცებულებად რესპუბლიკელების რელიგიის თავისუფლების შესახებ ანგარიში მოყავთ, სადაც ნათქვამია, რომ ქართული მართლმადიდებლურ ეკლესიას სხვა რელიგიებთან მიმართებაში, არაკანონიერი უპირატესობა გააჩნია. ამით რისი თქმა უნდათ ოკეანისგაღმელს, გარჩევას ვერ მოგვევებით, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკელების ყველაფრის ცოდნაზე თავს არ ვდებთ. ისე, ქართული საზოგადოება რომ ხსენებული ანგარიშის ამ ეპიზოდს ქართველი ფსევდოლიბერალების დაწერილად რომ აფასებს, ესეც ფაქტია. ვისაც არ გჯერათ, სოციალურ ქსელში ინტერნეტმომხმარებელთა კომენტარებს გაეცანი. ამ ყველაფრის შემდეგ, ე.წ. მედასავლეთეებსა და მათ უცხოელ „პატრონებს“ რატომ უკვირთ საქართველოში ბერძენიშვილ-უმცროსის დავესეხები, არადასავლური, ანუ ანტიდასავლური განწყობების გაძლიერება, საკვირველი სწორედ ეს არის. რესპუბლიკელები იმასაც აანონსებენ, რომ მათი წინასწარჩვენო კამპანია რელიგიურთან ერთად სხვა უმცირესობების ინტერესების დაცვაზე იქნება ორიენტირებული. სიტყვას საქმეც მოაყოლებს და თბილისის მერობაზე იმ კანდიდატს გამოუცხადებს მხარდაჭერა, რომელიც მისი განცხადებით, ლგბტ თემის წარმომადგენელია. მართალია, ჯერ ადგილობრივი არჩევნებია, მაგრამ ალბათ ეს არჩევნებიც აჩვენებს, რამდენად „გაიზარდა“ ქართველი ელექტორატი, რამდენად გახდა მათთვის მისაღები რესპუბლიკელებისა და სხვა „პროგრესულების“ იდეოლოგია.



მანანა სუსნიშვილი
599 51 28 24

ვინ გააძარცვა აჭარა და ვინ უკვეთდა რეგიონში არასასურველი პირების გავლენას?

აჭარის შსს ოპერატიული დაზვერვის ყოფილი უფროსის რეზო რომანაძის სკანდალური ინტერვიუ

– ბატონო რეზო, რა ხდება აჭარაში? როგორც ამბობენ, მართლა ისეთი საგანგაშო მდგომარეობაა რეგიონში?

– დავიწყეთ იმით, რომ დღესდღეობით აჭარის ბიუჯეტის გაზრდა შესაძლებელია სამჯერ, თუკი ვინმე შეისწავლის ნაციონალების და შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ შემძვრალი პარაზიტი სახელმწიფო მოხელეების მიერ მიტაცებული ქონების რაოდენობას.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო – სახელმწიფო სახელმწიფოში – მოსკეს, რომლის შემოსავალი წელიწადში ასობით მილიონ დოლარს შეადგენდა. 62 გემი, უზარმაზარი ინფრასტრუქტურა გაანადგურეს.

7 საკავშირო მნიშვნელობის ქარხანა იყო აჭარის ტერიტორიაზე. თურქეთიდან არაფრის შემოტანა არ იქნებოდა საჭირო, ეს ქარხნები რომ არ გაენადგურებინათ.

მე მაქვს ათეულობითფურცლიანი დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული უმნიშვნელოვანესი გასხვების ნუსხა. ყველა უნდა იცოდეს, რა ვერაგობასთან და ქვეყნის ქონების დანაშაულებრივ განიავებასთან გვაქვს საქმი.

აზერბაიჯანმა და თურქეთმა ჭკუა იხმარეს – თავიანთი ქვეყნიდან გამოყარეს მანქანა-წალა მათხოვრები და მეძავეები, რომლებიც დღეს ბათუმს აფარებენ თავს...

ერთ პატარა ქუჩაზე 18 სამასაჟე სალონია, რომელიც სინამდვილეში სამეძაო სახლი გახლავთ.

რესპუბლიკას, რეგიონს, ქალაქს პატრონი სჭირდება. ახლანდელი აჭარის მმართველი არ არის აჭარის პატრონი და გულშემატკივარი.

მე სულ ვამტკიცებ – აჭარაში თანამდებობებზე აჭარელები, ანუ ისეთი ხალხი უნდა დაინიშნონ, რომლებსაც განსაკუთრებულად უყვართ თავიანთი ადგილ-მამული და საკუთარ, ასე ვთქვათ, ტყავზე აქვთ გამოცდილი რეგიონის პრობლემების სიმძიმე, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აჭარის საუკეთესო მმართველები იყვნენ არა აჭარელები. აჭარას დღემდე ახსოვს ძირი-

ლი ბეჭედი, ქალაქის ხელმძღვანელი გასულ საუკუნეში, კაცი, რომელსაც ქალაქი ხელის გულზე ატარებდა. ბეჭედაა, სანამ სამუშაო საათები დაიწყებოდა, თავის მძღოლთან და თანაშემწესთან ერთად მთელ ქალაქს მოივლიდა თურმე, ეზოებში შედიოდა მოსახლეობასთან და პრობლემებს თავისი თვალთ ხახვით დასწავლიდა.

პოლიტიკურ თანამდებობაზე რომ ხარ, პოლიტიკური კულტურა უნდა გქონდეს და სკაშზე ჩაბლაუჭებულმა ყველაფერი არ უნდა იკადრო.

პირადად მე, ყველაფრისმკადრებელი კაცი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება ახლაც ჩემს ძველი თანამდებობა მქონოდა, მაგრამ 3000-კაციანი კოლექტივის ხელმძღვანელობიდან გათავისუფლების მოთხოვნის განცხადება საკუთარი ხელით დავწერე.



– რატომ? მიზეზი რა იყო?

– მე მყავდა ერთი კარგი მეგობარი – ვაჟა შანიძე, რომელიც ახლანდელი პერიოდში დაიჭირეს. მაშინ მე დაზვერვის სამსახურის უფროსი ვიყავი. დამიძახეს, დამავალეს ვაჟა შანიძეზე ცრუ ჩვენების მიცემა, ანუ მეგობრის დალატი. ეს არ გავაკეთე, დავწერე განცხადება გათავისუფლებაზე. კარგა ხანს რუსეთში ვცხოვრობდი. ჩემი ადგილი კი იმ ადამიანმა დაიკავა, რომელმაც უყოყმანოდ მოაწერა ხელი ცრუ ჩვენებას. ახლა ის კაცი ქალაქში თავისუფლად ვერ გამოდის. მე კი ჩემს ქალაქს ვუყვარვარ.

2012 წელს, როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში „ქარ-

„პირადად მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი, გირჩევით, რომ ჩემი „ლაშქრით“, ასევე, კალოვანი სტრუქტურების ვებარანებით და პოლიტიკატიმრებით, რომლებიც არც ისე უმნიშვნელო ძალაა, ყველაფერს გავაკეთებთ, აჭარის რეგიონში სიტუაციის გამოსწორებად“.

თული ოცნება“, დევნილობიდან ბათუმში დავბრუნდი. მას შემდეგ ველოდები, როდის დამყარდება სამართლიანობა და როდის დადგება დაპირებული კეთილდღეობა.

ამასწინათ შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში ვიყავი დაკრძალვაზე. ადრე იმ სოფელში 160 კომლი ცხოვრობდა, ახლა 30-მდეა დარჩენილი. სოფელში მოხუცები ცხოვრობენ, ხოლო დარჩენილი ოჯახების ახალგაზრდები თურქეთში არიან გახიზნული ლუკმა-პურის სამოვინელად,

ეს ადამიანი ფულს იხდის პატიოსნად და ხე აჭარიდან გურიაში გადააქვს, საქართველოს მთელი ქონება თურქეთში რომ გაზიდეს, მაშინ არავინ ხმას არ იღებდა, ბიუჯეტის ფული რომ მიიტაცეს და ოფშორებში აქვთ გამოკვეტილი, ამაზე კაციშვილი არ ლაპარაკობს, სააკაშვილი და მისი ბანდა რომ ხრავდა და ანადგურებდა ქვეყანას, ის არაფერი და ბიძინა ივანიშვილი საკუთარ ქვეყანაში ხეს რომ ყიდულობს და ისევ აქ რგავს,



საც ნაციონალია. მაგალითად, ხელვაჩაურის სუს-ის უფროსი სურამანიძე ნაციონალი იყო, გაუშვეს, მოიყვანეს სხვა, ისიც სურამანიძე, ისიც ყოფილი ნაციონალი. ბათუმის კულ-ის უფროსის, თამარ პატარაძის მარჯვენა ხელი. სუსი, პოლიცია, პროკურატურა გატყენილია ყოფილი ნაციონალებით და კარგს არაფერს არ უნდა ველოდეთ მათგან.

არაფერი არ კეთდება. ვინ გააკეთებს, ესენი გააკეთებენ რამეს? პირიქით, პროვოკაციებს ახორციელებენ, სპეციალურად აღიზიანებენ ხალხს, რომ ბიძინა ივანიშვილისადმი აგრესია გამოიწვიონ.

მთელი ცხოვრება ჩემი ქვეყნისთვის ვიბრძვი – შვილები გავზარდე, სახლი ავაშენე, ხე დავრგე, არაფერი არ მინდა ჩემი ქვეყნის კეთილდღეობის გარდა.

არ მინდა ნაციონალებს შერჩეთ ის, რომ აჭარას მეწველ ძროხასავით წველიან, ზიან და ფუფუნება ჰპაროდან მოსდით. ნაციონალები მოსვენებული არ უნდა იყვნენ. იმდენი და ისეთი სისამაგლეები აქვთ ჩადენილი, რომ მათ უსინდისობას საზღვარი არ აქვს.

– თითქმის ყველაფერი იცის ჩვენმა საზოგადოებამ.

– საზოგადოებამ არ იცის თუნდაც ის, რომ ერთი ვითომ პატიოსანი პოლიტიკოსი, დღეს რომ ტელეკამერების წინ ყელყვლაობს, ნაციონალებმა დააშანტაჟეს ფარულად გადაღებული ინტიმური კადრებით და იმდენი გააკეთებინეს, ორი პოლიტიკური პარტია დააშლევინეს და ერთი პოლიტიკოსის მკვლელობაშიც მიაღებინეს მონაწილეობა. ის კი გემოდღვრავს და ჭკუას გვასწავლის. ეს არის ბედის ირონია.

– უნდა გამიმხილოთ, ვინ არის ეს პოლიტიკოსი.

ჩაის და თხილის საკრეფად, დღიურ მუშად.

თურქებს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად აქვთ მიკუთვნებული აჭარის მიწები და ეს, ამ ეტაპზე, იმისთვის სჭირდებათ, თავიანთი სახელმწიფოსგან გრძელვადიანი უპროცენტო სესხები აიღონ თურქული ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობის გასაშლელად და ასაღორძინებლად.

ნაციონალების დროს გაიყიდა აჭარის ტერიტორიის საუკეთესო ნაწილები. ამაზე ხმას არავინ იღებდა მაშინ. ახლა ერთი ამბავია ატეხილი – ბიძინა ივანიშვილმა ხეები იყიდა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაარგო. თქვე ოჯახაშენებულებო, თვითონ ხალხი ეხვეწებოდა, ჩემი ეზოს ხე იყიდეთ.

ამაზე იკლავენ თავს. გადასარევი ამბავია, მე და ჩემმა შვიმ.

ძალიან ბევრი მტერი ჰყავს საქართველოს, ისე როგორც ძალიან ბევრი ფარული მტერი ჰყავს ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ის ადამიანები, რომლებიც ნაციონალების დროს გამდიდრდნენ და ძალაუფლებას დაეპატრონენ, დღემდე არ პატიობენ მას, რომ მისი გამოჩენით ქართულ პოლიტიკაში, კითხვის ნიშნები დაესვა ნაციონალების ძლიერებას, შეერყათ ძირგამომპალი ტახტი, რომელიც მყარად ჰქონდათ დადგმული და კიდევ მრავალ წელს აპირებდნენ საქართველოზე, ასე ვიტყვი, ბატონობას.

აჭარაში ბევრი უმაღლესი თანამდებობის პირი დღე-

– დიდი საიმპონებოთ გაკიმ-ხელდით, საიდუმლო ინფორმაცია რომ არ იყოს და შესაბამისი სამსახურებისთვის რომ არ იყოს განკუთვნილი.

– მერე, მიაწოდეთ ინფორმაცია შესაბამის სამსახურებს?

– მივაწოდე, მაგრამ... საქმე სხვა რამეშია. იმ პოლიტიკოსისნაირი ადამიანები ბევრია შემძვრალი ხელისუფლებაში და მორალურად გატეხილი და კომპრომატებით გაძეგილი ადამიანის ხელით, დამეთანხმებით, ბევრი მანებლობის განხორციელება შეიძლება.

მაგალითად, ამასწინათ საპროცესო გარიგების შედეგად გაათავისუფლეს სასჯელისგან აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი **თემურ პატარიძე**, რომელსაც ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული, მათ შორის მკვლელობები, რომელთა დაკვეთაც უშუალოდ სააკაშვილისგან მოდიოდა. თუნდაც მის მიერ ჩადენილი ბოლო ორი მკვლელობა გავიხსენოთ, **თემურ ძმარდაძე**, რომელიც ცოლ-შვილით შემოვიდა თურქეთიდან, რადგან ქურდული ტრადიციების მატარებელი იყო, დააკავეს. ეგონათ, თანხა ან ოქრო ექნებოდა. აღმოჩნდა, რომ არაფერი ჰქონდა, არც წამალი, არც იარაღი, გადაიარა თურქეთში თემურ პატარიძე, რადგან სხვა გზა არ იყო, უნდა გაეშვათ. გაუშვეს და იქვე, 50 მეტრში ისევ დააკავეს კამერების წინ. ამოუღეს ჯიბიდან ნარკოტიკი და პატარიძის დავალებით ისე სცემეს, ციხის უფროსმა არ მიიღო, მომაკვდავიყო. მიაბრუნეს უკან კუდში და გზაში მოუკვდათ კაცი. როგორც სწავლიდათ, მიცვალებული შეალამაზეს, გაუკეთეს გრიმი, დაწერეს ცნობა, რომ გულის შეტევით გარდაიცვალა და გაუგზავნეს ოჯახს. არადა, ეს იყო მკვლელობა და ეს მკვლელობა პირდაპირ თემურ პატარიძის კისერზეა.

წამებით მოკლეს **როინ შავაძე**. მებრძოლი კაცი, ვაჟკაცი ადამიანი, რომელმაც ბევრი რამ იცოდა და დაადუმეს.

მე შემიძლია ეს საქმე გავხსნა – ვინ და რატომ ჩაიდინა ეს მკვლელობა. მე მყავს ახლობელი ადამიანი, რომელიც ახლა

საზღვარგარეთ ცხოვრობს და ჩემს გარდა არავის არ ეტყვის ამ საქმეზე სიმართლეს.

როინ შავაძის მკვლელობის მთავარი მონაწილე განლავეთ თემურ პატარიძის მარჯვენა ხელი, მისი პირადი ქილევი **ბობი ჩიქოვანი**, ზედმეტსახელად „მაიმუნა“, თუმცა შავაძეს 17 ტყვეა აქვს მოხვედრილი და ცხადია, მხოლოდ „მაიმუნას“ ტყვეა არ იქნებოდა იმ 17 სასიკვდილო გასროლაში.

– **ბატონო რეზო, როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება სცოდნოდა ისეთი როინ შავაძეს, მისი სამუდამოდ დადუმება რომ გადაწყვიტეს?**

– საუბარია ვიდუკასეტაზე, რომელიც ცხინვალის ომში გადაიღო შავაძემ. რა უბედურებები ხდებოდა იქ, რა გეგმები, გარჩევები, საიდუმლო მოლაპარაკებები ვისთან და რის საფასურად, ეს სისაძაგლეები ყველაფერი ჰქონდა გადაღებული. გაიგეს ეს ნაციონალებმა და გადაწყვიტეს შავაძის მოკვლა.

პატარიძე, მისი მოადგილე, მთელი მათი ეკიპაჟი რომ დაიკითხოს, არა მარტო ეს საქმე, სხვა ბნელით მოცული ამბებიც გაიხსნება და აღარ იქნება მერე საჭირო სააკაშვილისთვის პიჯაკებზე და მასაჟისტ ქალებზე მოდავეება. სახელმწიფო დანაშაულებს აეხდებოდა ფარდა.

– და ამით „გათავისუფლეს“ აჭარა.

– 2004 წელს აპრილის თვეში ნაციონალები ფოთში, სასტუმრო „ანკორში“ რომ იყვნენ მოკალათებული და გეგმებს რომ სახავდნენ, როგორ შემოსულიყვნენ აჭარაში და აეწიოკებინათ აქაურობა, სიები რომ ედოთ წინ: ვის ოჯახში უნდა შესულიყვნენ და ვისი ბიზნესი უნდა გაენადგურებინათ, ეს ინფორმაციები, სხვათა შორის, მე უკვე მაშინ ხელთ მქონდა, ამ დროს თურქეთის მხრიდან ჯარი უკვე იყო მობილიზებული აჭარაში შემოსასვლელად, ვითომდა აჭარის მოსახლეობის დასაცავად, ყარსის ხელშეკრულების შესაბამისად.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ თურქეთი აჭარას თმობს ორი პირობით: პირველი – აჭარის მოსახლეობას მიეცეს ფართო ავტონომიური უფლებამოსილებანი, მეორე – მიღებული იქნას მიწით

სარგებლობის ისეთი კანონი, რომელიც აჭარის გლეხობისთვის ხელსაყრელი იქნება. თუ ეს მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული, ვიტოვებთ უფლებას, შემოვიდეთ აჭარაში და დავიცვათ იგიო, – აცხადებდა თურქეთი.

მიწის კანონი დღემდე მიუღებელია, ავტონომიის უფლებებზე საერთოდ აღარაა ლაპარაკი.

აჭარის შს სამინისტრო გადააქციეს ჯერ შს მთავარ სამმართველოდ, მერე დეპარტამენტად, ახლა სააგენტო გახადეს. ანუ შეამცირეს კადრები და ხარჯები.

ამასაც ივანიშვილს აბრალებენ, არადა, სულ ტყუილად იშვერენ ხელს მისკენ. პირადად არ ვიცნობ, არასდროს შევხვედრივარ და როგორც ზემოთაც ვთქვი, არც არაფერი მჭირდება ბიძინა ივანიშვილისგან, უბრალოდ, სიმართლეს ვლაპარაკობ – ბატონმა ბიძინამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პრემიერ-მინისტრის პოსტზე როგორც კი აღმოჩნდა, რამდენიმე თვეში, 2013 თებერვალში, მოაწერა ხელი ქვეყნის დეცენტრალიზაციის ბრძანებულებას. ეს გეგმა უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ დარჩენილებმა უგულვებელყვეს ყველა კარგი წამოწყება.

მაგრამ აჭარის ე.წ. რეველუციანზე ვსაუბრობდით, კარგად მახსოვს, დროით წინ მოდიოდა **ბიბი უბუღაძე**, უკან მოჰყვებოდა **ბარაშიძე**, მერე ის **ოძრუაშვილი**, ახლა ნიდაბი რომ მოიგო და უცოდველ კრავად რომ მოაქვს თავი. შევარდნენ მთავრობის სასახლეში, იქ, სადაც ასლან აბაშიძე მუშაობდა. დაიწყეს ძარცვა, უგულავამ ასლანის ფეხსაცმელს დასტაცა ხელი. აბაშიძე იტალიურ, ბრენდულ ფეხსაცმელებს იცვამდა ყოველთვის. შეეხარბა უგულავას, მას ასლანზე დიდი ფეხი აქვს, მაგრამ მაინც არ დატოვა, იღლიაში ამოიღო და მერე ასლანის მეუღლის ოთახში შევარდა. გადმოაბრუნეს კარადები, ქალბატონი მაგულის ტანსაცმელები ჩემოდნებში ჩატენეს... მესამე თუ მეოთხე დღეს ბათუმიდან



თბილისისკენ ეშვებოდა წავიდა ნამარცვით დატვირთული. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, კომპიუტერები, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი გაზიდეს აქედან, ვითომ ასლან აბაშიძეს წავართვითო. შენობები, ოფისები, სახლები რომ გაძარცვეს, ეს ასლანის ქონება კი არა, აჭარის მოსახლეობის საკუთრება იყო. დაჯდნენ მერე აჭარის ბიუჯეტს და გაატყავეს რეგიონი. კიდევ ვიმეორებ, ყოველივე ამას აკეთებდა გიგი უგულავა, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი ბარაშიძე, სააკაშვილის ბრძანებით და მეთაურობით და პირდაპირი გაგებით, დედა უტირეს აჭარას.

ახლაც უმძიმესი ვითარებაა. ისევ ის ნაციონალები წურბელებით წოვენ სისხლს რეგიონს და გამკითხავი არავინ არ არის. – **გამოსავალი?** – ერთადერთი კაცის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის იმედი მაქვს.

სამწუხაროა, როცა მას არაფორმალურ მმართველად იხსენიებენ, თუმცა ასეთ ხალხს უნდა ვუთხრა: ბიძინა ივანიშვილისნაირი ადამიანი არასდროს იქნება არაფორმალური. ის არის ერის გამოკვეთილი

ლიდერი, რომელიც დარჩება ლიდერად.

ვიცი, რომ ბატონი ბიძინა დღეს პოლიტიკურ პროცესებში არ ერევა, მაგრამ მშვენივრად ხელავს ყველაფერს და დარწმუნებული ვარ, შეწუხებულია იმით, რაც ხდება.

მთავარი სიტყვა მას ეკუთვნის, ხოლო **ჩხინაძე, დანარჩენი ქართველები, რომლებსაც გულფრფველად გვიყვარს ჩხინაძე ქვეყანა, უყოყმანოდ დავდებამით მის ბეგრდით. პირადად მე, როგორც პირი რიბითი ქართველი, ბაიროდ-პაბით, რომ ჩემი „ლაშქრით“, ასევე, კალაშნიკი სტრატეგიაში ვმხარობ და პოლიტიკატიმ-რებით, რომლებიც არც ისე უმნიშვნელო კალაა, ყველაფერს გავაპატიებთ, აჭარის რეგიონში სიტუაციის გამოსაწორებლად.**

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რედაქციისგან: რედაქცია მზად არის გაზეთის ფურცლები დაუთმოს ბატონი რეზო რომანაძის მიერ დასახელებული პირების კონტრარგუმენტებს.



მაისა ჯაფარაშვილი:

შპ-აბასები, ჩინოზ ხანები, მურვან ყრუები ახლა ბანკირების და მევენახეების სახით შემოიხივნენ საქართველოს

- „მარტო ერთ დღეს, მარტო ერთ მოსამართლეს თოთხმეტი გამოსახლების პროცესი ჰქონდა... ხვდებით, ეს რას ნიშნავს?“
- „ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები მევენახეობას ეწევიან, საქმე ძალიან ცუდად არის!“

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის შეუსრულებელი საბანკო ვალდებულებები, იპოთეკური და ვადაგადაცილებული სესხები „დამოკლეს მახვილად“ იქცა. აღსრულების ეროვნულმა ბიუროს მონაცემებით, 2014 წელს 1243 ქონების რეალიზაცია მოხდა, 2015 წელს კი ასეთი ფაქტების რაოდენობა 5%-ით გაიზარდა და 1410 მიაღწია. აღსანიშნავია, რომ აქედან 27.4% შემთხვევაში კრედიტორი კომერციული ბანკი იყო, 16% მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 51% კი (720 შემთხვევა) კრედიტორები ფიზიკური პირები ანუ ე.წ. მევენახეები არიან. გარდაიქმნა ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობაც, რომელმაც 2016 წლის მონაცემებით, 361.3 მლნ. ლარი შეადგინა. „სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა კომიტეტის“ პრეზიდენტის მამისა ჯაფარაშვილის თქმით, მოვალეთა რეესტრში მოხვედრილი ადამიანების რიცხვი ყოველთვის იზრდება, რაც საუკუნის გლობალურ პრობლემად და ქართველების საქართველოდან აგრის მიზნად იქცა. რით ემუქრება ქვეყანას ბანკო-სამევენახეო სისტემის შეუზღუდავი ძალაუფლება და არსებობს თუ არა ვითარებიდან გამოსავალი? ამასე კოალიცია „სახალხო ტრიბუნების“, „სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა კომიტეტის“ პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი გვესაუბრა:

„სახალხო ტრიბუნები“, რომლის სახელსაც კოალიცია ატარებს. ორგანიზაციამ საქმიანობა შეიღწილი წლის წინ, 2010 წელს დაიწყო, თუმცა, ოფიციალურად, ოთხი წლის წინ დაფუძნდა. ჩვენ ვსწავლობთ ქვეყნის საბანკო-სამევენახეო სისტემაში შექმნილ ვითარებას, რომელსაც ერთდღერთი სახელი ქვია — მსოფლიოს შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

— რომელ შეთქმულებას გულისხმობთ და რა შუაშია მსოფლიო ჩვენი საბანკო-სამევენახეო სისტემის პრობლემებთან?

— მოგეხსენებათ, რომ „ქართულ“ გარდა, საქართველოში ქართული ბანკი არ არსებობს და ნებისმიერი კომერციული ბანკისა თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უკან უცხო ქვეყნის მოქალაქეები დგანან. ამის

საბანკო სექტორთან პირადი ანგარიშებიც გაქვთ.

— პირადად საუბარი არ მიყვარს, მაგრამ რადგან მკითხეთ, გეტყვი, რომ ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისაც „პროკრედიტბანკმა“ 2012 წელს ქონება წაართვა. 16 წლის განმავლობაში ამ ბანკის კლიენტი ვიყავი და მეგობრად ვთვლიდი, მაგრამ როგორც კი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავვარდი, ჩასაფრებულებივით მომგარდნენ და ქონება გამიფიქსეს. ამას წინ უძღოდა, ჩემი სახლის გაძარცვა, როცა დიდი ქონება დავკარგე. ამის შემდეგ, ჩემი შვილი ავარიში მოკვდა. მოგეხსენებათ, ნაციონალების დროს, მკურნალობა რა ღირდა. სამი თვის განმავლობაში, ინგოროვებს კლინიკას ყოველ დღე 850 ლარს ვუხდიდი, რამაც საბოლოოდ, 65000 დოლარი შეადგინა. მე სერიოზული ბიზნესი მქონდა,



აქვს შეტანილი და ამის მიუხედავად, ერთი სახლი უკვე გაუყიდეს და მეორე აუქციონზეა გატანილი. ასე მიდის ნადირობა საქართველოს მოსახლეობის ქონებაზე, რომ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები ქვეყნიდან წავიდნენ და ბედი სხვა ქვეყანაში ეძიონ.

— ვის და რატომ უნდა უნდოდეს ამის გაკეთება?

— ყველამ ვიცით, რომ საქარ-

ოფიცრმა ქართული წერა-კითხვის უცოდინარ კასანოვას უთხრა, ხელი მოიწერე, რომ მძა შენთან ცხოვრობსო და ქალმაც უყოყმანოდ მოუწერა. სინამდვილეში, მას მოტყუებით მოაწერინეს ხელი, რომ ბანკში თავისი ძმის თავმდეები იქნებოდა. როცა კასანოვას ძმას პროცენტების გადახდა გაუჭირდა, ბანკმა ქალბატონს სახელმწიფოს მიერ მიზნობრივად გაცემული სოციალური შემწეობა ჩამოაჭრა და მისი მცირეწლოვანი შვილები შიმშილით სიკვდილისთვის გაწირა. ჩვენს ქვეყანაში კანონი და სამართალი რომ არსებობდეს, „ლიბერთი ბანკი“ დასურული უნდა იყოს, თუმცა გალატაკებულ პენსიონერებისა და შმიერი ბავშვებისთვის წართმეული ფული მანც არავის შეერგება. კასანოვა ლაგოდეში ცხოვრობს, ამიტომ ჩვენმა ორგანიზაციამ ბანკის წინააღმდეგ სარჩელი გურჯაანის სასამართლოში შეიტანა, მაგრამ მოსამართლე ნანა ჩალათაშვილმა ჩვენი კანონიერი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. წარმოიდგინეთ, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, სასამართლო და ყველა სტრუქტურა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ნაცვლად, მევენახეობისა და ბანკიერების მხარესა და ჩალათაშვილებს დღეს მოსამართლის მანტია აქვთ მოსხმული. რა თქმა უნდა, ჩვენ ასე ადვილად არ დავნებდით. ტელევიზიასთან ერთად მივადექით „ლიბერთი ბანკს“ და სანამ სამ დღეში კასანოვას სოციალური დახმარების ნახევარი არ ჩაურციხეს, არ გავჩერებულვართ. ახლა მეორე ნახევარზე გვაქვს დავა. ასეთი შემთხვევა უამრავია და ყველას ჩამოთვლა შორს წავიყვანს, თუმცა გეტყვი, რომ იმ ადამიანების 90%, ვინც ჩვენთან ბანკებსა და მევენახეებთან შექმნილი პრობლემების გამო მოვიდა, უკვე ქვეყნიდან წასულია, იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს. ერთი ოჯახის წევრებს ვერ ვპოულობ ისე დაიქსაქსნენ. ზოგი მშობლებს შეეკედლა და ზოგი საზღვარგარეთ წავიდა, ზოგს საერთოდ ნერვიულობისგან გული გაუქცა. ერთ-ერთი ოჯახის შესახლება მინდოდა და ცხრა წერიათ ოჯახიდან ორი ვეღარ ვიპოვე. ადამიანები გარბიან,



გარდა, ჩვენს საბანკო სისტემაში ისეთი კანონები მოქმედებს, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება. არსად ახდებიან ასეთ უზარმაზარ პროცენტებს, არსად ხდება რესტრუქტურის საფარქვეშ პროცენტის პროცენტების დაკისრება და არსად არ ართმევენ ადამიანს ერთადერთ საცხოვრებელს მიზერულ ფასად.

— როგორც ვიცო, ქართულ

მაგრამ ასეთ ხარჯებს ვერ გაუძლო. ბანკის ვალი რომ დამეფარა, ერთი სახლი კაპიკებში გავყიდე, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. იძულებული გავხდი, ბანკთან მივსულიყავი და სესხის გადანაწილება მეთხოვა. 16 წლიანი ურთიერთობის მიუხედავად, ადამიანს, რომელიც 36%-იან, 40%-იან და 100%-იან სესხებს მორჩილად ვიხდიდი, უარი მითხრეს და კოეფიციენტებზე დამიწვეს ლაპარაკი. რაში მანტერესებს მათი კოეფიციენტები, როცა ვიცი, რომ ბანკიდან 25000 ლარი გამოვიტანე და 450000 შევიტანე? ამის მიუხედავად, სახლიც გამიფიქსეს, სოფელში მიწაც წამართვეს და კიდევ 22000 დოლარი ვალი დამრჩა. იმ პერიოდში ბრიფინგი ჩავატარე, ტელეკამერების წინ, ბანკის წარმომადგენელს სახლის გასაღები გადავეცი და ვუთხარი, წაიღეთ ჩემი სახლი, მაგრამ გაბრდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ და არ გავჩერებულვარ. არ იფიქროთ, რომ მხოლოდ ჩემი პრობლემები მალაპარაკებს. ჩემს დღეში და კიდევ უარეს მდგომარეობაში ათასობით ადამიანია. აი, ჩემს გვერდით რომ ხედავთ, ამ ადამიანს „პროკრედიტ ბანკიდან“ რაც გამოიტანა, ორჯერ თუ სამჯერ მეტი



გუბა სოტივარი:

მაშინ, მეორე საუკუნეში...



(გაბრძემბა, დასაწყისი
ნს. „სბ“ N1-12 2017)

რეზოს ნერვიული შეხვედრები ჰქონდა ხელმძღვანელობასთან. მათ თურმე ფილმის წარმოების დასურვა უკვე გადაწყვეტილი ქონდათ. რეზომ სერიოზული დიპლომატიური მანევრები დაიწყო და მოლაპარაკებები მრავალჯერ დაიწყო მძიმე პოზიციურ ბრძოლაში გადაზარდა. დირექციას დათმობა არაფრით უნდოდა, თურმე ბრძანება გამზადებული ყოფილა ფილმის დახურვის დაახლოებით ისეთივე მოტივით, როგორც ჩვეოდათ —, გადაღებული მასალის უპერსპექტივობის გამო” და ა.შ., მაგრამ რეზომ თავისი (ჩვენი) მაინც გაიტანა და „ლაზარეს“ გადაღების გაგრძელების უფლება როგორც იქნა მიიღო...

ახლა ყველაფერი უკვე ჩემზე იყო დამოკიდებული. მეც, როგორც შემეძლო, ისე ავმუშავდი...

„ლაზარე“ 1972 წლის ბოლოს დაკასრულეთ. ფილმის მიღებაზე მოსკოვმა უარი გვითხრა: ყველაფერს ვხვდებით, ბატონებო, რისი თქმაც გინდათ ამ ფილმით, ყველა ქვეტექსტი გაშიფრული გვაქვს (ამის დიდოსტატები იყვნენ მართლაც), თვით ფილმიც ძალიანაც მოგვწონს, მაგრამ თავი გაგვაძნელებთ, წადით აქედან თქვენი ბიბლიური პრეტენზიებითა და ანარქისტ-რევოლუციონერებით! ნუ გვაყენებთ საშინოების წინაშე! ჩვენც ხალხი ვართ და ოჯახები გვყავს შესანახი. ეს ფილმი რომ დიდ ეკრანზე გავუვუთოთ, ყველას გაგვაძნელებენ და სასტიკადც დაგვსჯიანო. საქართველოში, — კი ბატონო, უფურეთ რამდენიც გინდათო...

ამას კი (საქართველოში ფილმის გაშვებას) ისევ რეზომ მიაღწია მოსკოვთან ურთულესი მოლაპარაკებების შემდეგ, თორემ ფილმს საერთოდ აკრძალვასა და განადგურებას უპირებდნენ (ძალიან დამენხარა ფილმის გადარჩენაში მოსკოველი რედაქტორი მოსე ისაკის ძე რეზნიკოვი. ჩენთვის მანამდე უცნობმა კაცმა ბევრი იღვაწა „ლაზარესათვის“... მაღლობა მას)... თბილისის ცენტრალურ ფილმიც უნდა არ მიუღია, თუმცა კატეგორიულად მოითხოვა ქართლოს ხოტივარის ტიტრებიდან ამოღება. არც ქართლოსს გამოუღია ამაზე თავი. შემომითვალა, ჯანდაბა მაგათ, ამოიღე ჩემი გვარი, ამის გამო ფილმს ცხოვრებას ნუ გაუართულებო. ასეც მოხდა: და დღესდღეობით ფილმის სცენარის ავტორად ტიტრებში

ამომდგენ მხარში ჯგუფის წევრები — ჯუნა თუთბერიძე, გურამ ბეგი-აშვილი, მერაბ გვანცელაძე, ირაკლი ონოფრეშვილი, ირაკლი ვაშაყმაძე, გივი ურიგაშვილი, მსახიობები... ვახო რურუაძე მოდიოდა ხშირად გადაღებებზე: ის ხომ უკვე „ვერის უბნის მელიორებზე“ მუშაობდა. რა მაღლიერი ვარ მათი! მათ ხომ ერთი სურვილი ამოძრავებდათ — ფილმი უნდა გაგრძელებულიყო.

სცენარის ავტორი — ლეონი
მალაზონია. ლეონი ცნობილი მწერალია და არ საჭიროებს დახასიათებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ მართლაც კარგი სცენარი დაწერა. გააერთიანა თითქოს გაუერთიანებელი — შუა საუკუნეებში მცხოვრები უცნობი ესპანელი ავტორისა და თანამედროვე ქართველი მწერლის გიორგი ლეონიძის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ნაწარმოებები. ეს მან უმტკივნეულოდ შეძლო და, რაც მთავარია, აავსო სცენარი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლორიტითა და ორიგინალით, რითაც მეტად გაგვიადვილა საქმე დამდგმელ რეჟისორებს. მისი კაცური თვისებები და პროფესიონალიზმი



ძალიან გვებნარებოდა შემდგომშიც, ფილმის გადაღებების დროს.

დამდგმელი ოპერატორი —
ირაკლი ონოფრეშვილი. „ლაზარე“ იყო მისი პირველი ფერადი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. დაუზარებლად მუშაობდა და კარგატაც გაართვა თავი ამ მეტად რთულ საქმეს. იდეალურად გრძნობდა კინოფირს. ამავე დროს, ირაკლი იყო შესანიშნავი დოკუმენტალისტი — რეჟისორიცა და ოპერატორიც. მისი ხიფათიანი თავგადასავალი ქართული სიწმინდეების გადასაღებად ირანში, თურქეთში, საბერძნეთსა და ბულგარეთში ცალკე წინის ღირსია.



დამდგმელი მხატვარი — მახ-
ტანზ რეზია. ასეთი ნიჭიერი ადამიანი იშვიათად მინახავს. იცის მისი პროფესიის გარეშე ყველაფერი, აქვს უზადო გემოვნება და არაჩვეულებრივი გამოგონებლობა, ნატიფი ომორი და სხვისი ომორის მხიარულად აღქმის უნარი. ფილმს შემატა ბევრი კარგი დეტალი და ეპიზოდები... იბერებსა და წინარეობებზე ფიქრობდა სულ. გვერებიც იქნებოდა, ნახავთ, გაირკვევა ყველა საკითხი ქართველთა წარმოშობის უნიკალურობის შესახებ და მსოფლიო მერე დაგვავსებსო. დღედაღამ გვიჩინებდა, პატრონი გვირდებოდათ, თქვე უწიგნურებო — და გადაღებებზე შესვენებისას ხმადაღმა გვიკითხავდა ივანე ჯავახიშვილის შრომებს. ხანდახან შეჩერდებოდა და გამომწვევი სიამაყით გადახედავდა თავჩაჩილ გატარებულ მძლოლებს... გულში გაცნობდა შედეგები კი მაინც მის მიერ დავით გურამიშვილის „მითქმა ხმითა“ — ს ყოველი დღიური შესრულება იყო:
„ვია, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგინიესო...
...დიდება მოთმინებასა

ავტორიტეტი მამაჩემის თვალში მკვეთრად ამალდა. ანზორ ერქომაიშვილი ქართული ხალხური სიმღერის რენესანსის ფუძემდებელია, მისი უანგარო მსახური, მისი ერთგული დარაჯი. პირადული მისთვის არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერა. ურთიერთობისას, გრძნობ, რომ ანზორი კიდევ რაღაც სხვაზე ფიქრობს. ის „სხვა“ ქართული სიმღერაა. თუ დააკვირდები, გაიგონებ — ის გულში მღერის. ყოველთვის მღერის თავისთვის, არასოდეს ბეზრდება. ის ხომ ადამიანი-სიმღერა... ცოტამ თუ იცის, როგორი გასაოცარი წიგნები აქვს შექმნილი (თუ ქვეყანა გამოსწორდა და კინოს გადაღება კვლავ მეორისა, მათ მიხედვით სცენარებს დაწვეს)... მიხარია კინოში პირველად დიდი ანზორი მე რომ მოვიყვანე. „ლაზარეს“ გადაღებული მასალა რომ ნახა, დახარა თავის ისტორიული თავის ქალა, დაფიქრა და თქვა: ამ აბნეულ მასალას ფრანგი დებიუსი, გერმანელი ბეთოვენის და ქართული პარიპარალე თუ დააღებებსო — და მოიყვანა ასევე დიდი ჰამლეტ გონაშვილი და ანსამბლი „რუსთავი“.



შენსა, უფალო იესო!...
- მკაფიოდ ისმოდა მისი თავ-
შეკავებული ჩურჩული გადაღების მოედანზე. მთელი არსებით შედიოდა ტექსტში — უფრო ლოცულობდა, ვიდრე კითხულობდა. ჩვენც მოჯადოებულნი ვუსმენდით და ყველა თავისაზე იწყებდა დარდს... ერთხელ გამანათებელმა აბასამ შესჩივლა: ვახო-ჯან, ვერე გულით რო კითხულობ, მაგრა შამეცოდა თქვენი ღმერთი, შამეცინა, კასო, ქრისთიანი გავხვდები და ჩემები მამქლაძენ. ცოდო არა ვარ, კასო? — ვახომ შემწმენველად ეგრძნო მისი გულდასხუმრობა, მაგრამ წამით შეფონდა და თვალბრუნებში ჩახვდა. შემდეგ გაუღიმა და გულზე მიიკრა...

მუსიკალური გამგონებე-
ლი — ანზორ მრქომაიშვილი. ყველაზე პატრონის ადამიანი კაცობრიობის ისტორიაში. ყველაზე შრომისმოყვარე ადამიანი კაცობრიობის ისტორიაში. ანზორი ისეთია, როგორც უნდა იყოს ადამიანი. მახსოვს, ერთხელ, ფილმის დაწყებამდე, როცა მამაჩემი მონუსხულივით უსმენდა ტელევიზორში მოლაპარაკე სრულიად ახალგაზრდა ანზორს — უცბად წამოვიყვარა განარებულმა: „ეს ბავშვი ისტორიულ პიროვნებად ჩამოყალიბდება, ისეთი მოყვანილობა აქვს თავის ქალისათვის!“ მე დავიტრბახე, ანზორს კარგად ვიცნობ-მეთქი და იმ წამსვე ვიგრძენი, რომ ჩემი

(გაბრძემბა იმდნა)

„არა ცილი სნაო მოყვასსა შენსა, ნაგებითა სრუითა“

ღია წერილი თაკო ჩარკვიანს

ამ წერილის დაწერა საჭირო არ გახდებოდა და ვეველაფრის წყნარად, ტელეფონით გარკვევა იყო შესაძლებელი. მით უფრო, რომ მე და თაკო ჩარკვიანი პირველი წელია არ ვიცნობთ ერთმანეთს და არც ერთმანეთის მტრები ვყოფილვართ აქამდე.

ჩემო თაკო, მართალი გითხრა, ბევრი ვიფიქრე დამეწერა თუ არა პასუხი შენთვის, იმ უსაფუძვლო ჭორიკნობასა და ცილიწამებზე, (სხვა რა ვუწოდო?) რაც სოციალური ქსელის მეშვეობით ფართო საზოგადოების განხილვის საგანდ აქციე. პასუხის ღირსად მართლა არ გთვლი. ამასაც მომაგალი თაობებისთვის და ჩემი შვილიშვილებისთვის უფრო ვწერ, რათა ინტერნეტისა და სოციალური ქსელის ბინძურმა ეპოქამ სწორი ინფორმაცია შემოუნახოს მომაგალს. ამ წერილითაც შენთან ნებისმიერ პოლემიკას წერტილს ვუსვამ. ვიცი, რომ პასუხის გაცემასაც აუცილებ-

მგებლობას გვაკისრებს ერთავეს.


ხელოვანთა შორის, მხატვრების, კომპოზიტორების თუ ლიტერატორების, შემოქმედებითი პაექრობის ფაქტებიც მრავლად ახსოვს ისტორიას. მაგრამ, არასდროს, არც ერთი მწერლისა და პოეტის ოჯახის წევრს ბინძური საცვლებით არ აუქოთებია და საყოველთაო ალიაქოთის საგნად არ უქცევია ეს ისე, როგორც ეს შენ მოახერხე.

დამსახურებებიდან გამომდინარეც, ვიფიქრებ, ჯასულ ჩარკვიანსა და რეზო ამაშუკელს, ერთმანეთთან საპაექრო და გასაყოფი არც „საბას“ პრემიის ლაურეატობა და არც სხვა რამ არა აქვთ. იქნებ ვცდები?! ერთადერთი სამშობლოა, რომელიც დარწმუნებული ვარ, ორივეს ძალიან უყვარს და მისი გადარჩენის განსხვავებული პორზიციაც, ცილიწამების ბინძური კამპანიის საფუძველს არ უნდა წარმოადგენს. თუ, რასაკვირველია, ნაციონალების მსგავსად, მამას მიმართ, შენც ანა-

მიერ ატეხილი სკანდალის შემდეგაც, ხელახლა, რამოდენიმეჯერ გადავიკითხე- “ქნებ გამოძრწა და მართლაც წერს მხეიძე, რომ რეზოს რჩევას დაჰყვა და ეს წერილი დაწერა-თქო“. თუმცა, „სგუსჩონკასთან მიმართებაში“ ნახსენები ციტატის გარდა მსგავსი ვერაფერი ვნახე?! შენ რომელ სტრიქონებს შორის ამოკითხე და რომელ ცუდ სიზმარში ნახე, თაკო, მხეიძისათვის მიცემული რეზოს რჩევა და მითითება, იმ ინტელიგენციისა და თაობის წარმომადგენელზე დაწერილ წერილში, რომლის წევრიც თავადაც იყო და არის რეზო?! რაღაც, ძალიან „ჩემი შენ გითხარიო“ წაგავს მთელი ეს კამპანია?! ტალახის შესხმა და სხვების წარსულის ქექვა კი არც პუბლიცისტიკაა და არც ჟურნალისტიკა. თუმცა, დღევანდელ საქართველოში, მართლაც რომ „ვეველაფერი მოსულა“.

ღათო მხეიძეზეც „ღაზარეს“ შეკრებაზე რეზოს მიმართ განხორციელებული დემარშის შემდეგ ჩემი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა. მიმანჩია, რომ დემარშის დროსაც ვიდაცის დავალებას ასრულებდა და ამ წერილითაც იგივე გააკეთა. იმიტომ, რომ, თუ (როგორც თავად წერს) ორი წელი ინახავდა ამ წერილს, რაღა მაინცადამაინც ახლა მოუნდა მისი გამოქვეყნება? ჯასულ ჩარკვიანს ორი წლის შემდეგ ასაკი დააკლდებოდა თუ ჯანმრთელობა მოემატებოდა? ასე რომ, თუ ორი წლის წინ ამის გამო შეიკავა მხეიძემ თავი, არც ახლა უნდა დაეებეჭა ის. ამასთან, ორი წლის წინ, ჯანსულ ჩარკვიანსაც, ამ „რუსულმანებზე“, არაფერი უთქვამს. გამოდის, რომ წერილი საგულდაგულოდ, ახლა, გრიგოლის გადაცემაში მისი ყოფნის შემდეგ დაიწერა. შესაბამისად, „რუსულმანებიც“ ორი წლის წინ დაწერილ პუბლიკაციაში ვერანაირად ვერ მოხვდებოდა.

სრულიად გამაოგნებელი აღმოჩნდა ჩემთვის, თაკო, შენი მხრიდან ამ წერილის ასეთი ფორმითა და თანაც რეზოსთვის მიწერა. გეტყვი იმასაც, რომ არაერთი უხამსი წერილი და გამონათქვამი დაწერილა და დაბეჭდილა მამაჩემის მისამართითაც, რომელიც ჯანსულ ჩარკვიანის რეზო ამაშუკელზე ნათქვამადაც მიუწოდებოდა მისთვის. (ბოროტ ადამიანებს რა დალევს? მაგრამ თუ ნაციონალების ინფორმაცია მისთვის მიეწოდებოდა, თავი სამართლებელად და მათ დასაცავად რომ არ გაგებნდა. იმიტომ, რომ, „რუსთავი 2“-ის ხარდამჭერ აქციებზე მისულს, „წითელ ინტელიგენციას“ გემახიან მაინც და სოციალურ ქსლებში დაგცინიან. სიცრუის გავრცელება არ მხევეია. შედი და თავად ნახე.) თუმცა, ენების მოტანის მიუხედა-



ლად ეცდები ნაციონალების რომელიმე სააგენტოსა თუ ახლა უკვე თავიდან დაშვებულ შენი ყოფილი მტრების სატელევიზიო ეთერიდან. რომელიც, შენივე სიტყვებით, ტელეკომპანია „მხერადან“, ვანო ჩხარტაშვილს, ჯანსულმა შენს გამო გააგდებინა! თავსაც ტყუილად ნუ დაიღლი და ადამიანებსაც ნუ შეაწუხებ შენი მაღალფარდოვანი სენტიმენტებით. მამას მისამართითაც, ნაციონალური სექტის მიერ დაწერილი ნებისმიერი პუბლიკაციისა და პასკვილის უკანაც, დღიდან უკვე „შენს აჩრდილს“ ამოიკითხავს ქართული საზოგადოება.

საზოგადოებას კი, განუმარტავ, რომ არც თაკო ჩარკვიანი დაბადებულა პუბლიცისტად და არც მე. ორივეს, ბედკრული საქართველოს ქართველი პოეტების შვილობა გვარგუნა უფალმა. თუმცა, ვიფიქრებ, ეს კიდევ უფრო მეტ პასუხის-

ლოგიური მეთოდებით არ დაიწვე უკვე ბრძოლა...

პოეტის შვილობაც დიდი პასუხისმგებლობა რომაა, დამეთანხმები. ამხეც ბევრჯერ გვისაუბრია მე და შენ. ისე, მართლა გულწრფელად მაინტერესებს, რას მიაღწიე და რა მოიგე ამ ვეველაფრით?! იმის გარდა, რომ ჩარკვიანების ოჯახის მტრებიც გულიანად აცინე და რეზო ამაშუკელიც უსამართლოდ აღანძინე ვიგინდარებს. დავიჯერო, გულზე მოგეშვა?! მეც, გადავწყვიტე, რომ ამ შემთხვევაში „თქმა სჯობდა, არა თქმასა“, რადგან „თქმითა“ თუ გაბოროტებული პროვოკაციით, უკვე იმაზე მეტი დააშავე, ვიდრე შესაძლებელი იყო და მომაგალშიც შეიძლება დაშვდეს!

დავით მხეიძის ის ავადსახსენებელი წერილი მეც წავიკითხე. თუმცა, მოსაწონი და გულის მოსაფხანნი იქ ვერაფერი ამოვიკითხე. შენს



მტკნარ სიცურეს 85 წლის ჯანსულ ჩარკვიანის მკვლელობის მცდელობად გაასაღებდი? ღმერთის მაინც არ შეგეშინდა?! კიდევ ის რაღაც აბსურდი, ირმა დეიდას მშობლების ბინაზე... სულ გაგიჟდი?! რამხელა ტყუილს ამბობ: წერილში მხეიძე საუბრობსო, „ამაშუკელმა უთხრა ესა თუ ის ღეტალიო“. სად ამოკითხე ვე, თუ რეზო ამაშუკელის სიძულელმა და ბოლმამ, მართლა ასე დაგიბნელა გონება?! ტელევიზია-ტელევიზია დადიხარ ექსპერტად და პუბლიცისტად და ნაწერი ვერ ამოგიკითხავს რიგანად?! მამა, თავად, ვერც ქალბატონ ირმა ჩხეიძეს დაურეკავდა, იმიტომ რომ იმ

მხეიძის წერილის გამო „ნიუ-პოსტის“ მიერ გამოქვეყნებულ (თურმე შენს მიერ მიწოდებულ) ინფორმაციასა და წერილზეც დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ის, არათუ დაკვეთილი, არამედ, პირადად თაკო ჩარკვიანის დაწერილიაო. არ მჯეროდა. მით უფრო,



წერილის ყოვლად დაუსაბუთებელი აბსურდული შინაარსის გამო. განაცხადებული ბაჩუკი ქარდავას სააგენტოში, „საკუთარი გაზეთის“ პატრონს, „ანონიმურად“, თანაც ასეთი არაკომპეტენტური და ცილისმწამებულო წერილის დასაწერი ნამდვილად არაფერი გჭირდა. ან ასე რამ შეგაძულათ მთელ ოჯახს რეზო ამაშუკელი, რომ ნაციონალები გაიხადე თანამოაზრედ?! ვიცი, კარგად რომ გახსოვს, მაგრამ მაინც შეგახსენებ დიდი ვაჟა-ფშაველას სიტყვებს: „რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწო არ შეგეკერი ზავითა“. ერთ დროს ნაციონალებთან მებრძოლი და ამაყი ქალი, ასე როგორ დაეცი, თაკო, ან, თუნდაც, შესანიშნავ ქალბატონს, შენს დედას, ირმას როგორ არ დაეკითხე აზრს, სანამ ასეთი ფორმით წამოიწყებდი ცილისმწამებულ ომს და თანაც

ინფორმაციას, რომელიც თურმე „გავრცელდა“ მამამდე არ მოუღწევია. ის არც სოციალური ქსელების მომხმარებელია. შენ თუ ეტყვი, რა ინფორმაციასაც ავრცელებდი ნაციონალების საამებლად, შესაძლოა, საქმის კურსშიც ჩამდგარიყო. იქნებ, ვინც ასეთ „წერილებსა და ვიდეოებს გაწვდის“, მათთან გაგერკვია სიმართლე?! ცნობისთვის, მწერალთა კავშირისთვის ბინა არც რეზო ამაშუკელს უთხოვია, ბაბუაჩემის ნაყიდ ბინაში გავიზარდე მეც. სად ამბობს მხეიძე: „მარტო კი არ ვიდექი, ბატონი რეზოც ჩემს ვევერდით იყო“. ეჰ, თაკო, თაკო... შენი „მოწოდებულ“ „წერილებს“ ასევე გავრცელებული ახლა უკვე ჩემი ინფორმაციით, ვეველასათვის კარგად ცნობილი იმ „ცნობილი ნაკადულის ანკარა წყაროდანა“, რომელსაც შენი მხურვალე მხადამჭერი ნანუკა ჟორჯოლიანიც

საოპარი მოქალაქეების დროს მოხლარი სასაცილო შემთხვევები


ომი თავისი არსით სახუმარო საქმე არ გახლავთ, ადამიანები ხომ რაღაც მიზეზთა გამო ხოცავენ სხვა თავის მსგავსთ. ისტორიაში ბევრი უცნაური ომი ყოფილა – გასროლები, აფეთქებები, ხოცვა-ჟლეტა ხომ ცალკეული ადამიანების ბოროტი სურვილით ხდება, რომელთაც ძალაუფლების შენარჩუნება სურთ. მოვლენები იმდენად სერიოზულია, რომ კურიოზულად შეიძლება იქცეს. ომშიც კი შეიძლება სასაცილო მომენტების პოვნა...

ფლოტის ხელში ჩაბდება კავალარიით

ეს უნიკალური შემთხვევა 1795 წლის იანვარში მოხდა. საფრანგეთის რევოლუციური არმია შეტევას ახორციელებდა გაერთიანებული პროვინციების რესპუბლიკაზე (ამჟამად პოლანდიის ტერიტორია). საკმაოდ ცივი ამინდი იდგა, რამაც განაპირობა კიდევ ეს უცნაური შეტაკება. ფრანგი ჰუსარების მეთაური იოჰან ვილემ და ვინტერი

წყალქვეშა გემებზე მონადირე ხომალდს მეთაურობდა. გემი პორტლენდიდან სან-დიეგოში უნდა გადაადგილებულიყო. 19 მაისის დილას ჰაბარდმა სონარზე რაღაცადანახა და ეს იაპონურ წყალქვეშა ნავად ჩათვალა. მასთან საბრძოლველად ორი დირიჟაბლი დაიხმარეს, 21 მაისის შუაღამისთვის კი მოუხელთებული იაპონელების წინააღმდეგ უკვე მთელი პატარა ფლოტი იყო მობილიზებული. ჰაბარდს

პელიკარნასი (ამჟამად ბოდრუმი) წაერთმია, მაგრამ იძულებული გახდა, შეეჩერებინა შეტევა. აღმოჩნდა, რომ ქალაქის დამცველები კარგად იყვნენ შეიარაღებული და ქალაქის კედლებს კი კატაპულტების შეტევას გამძლეობაც შეეძლო. ხანგრძლივი და რთული აღყის გამო ალექსანდრეს არმიამ მოწყენილობამ დაისადგურა. პერდიკის რაზმში ორი მეზობელი ჯარისკაცი ერთმანეთს ეტრაბახებოდა ხოლმე და საკუთარ გმირობებზე ყვებოდნენ. ერთ დღეს ისინი დათვრნენ და იმის გასარკვევად, ვინ უფრო მამაცი იყო, გადაწყვიტეს, ცალცალკე დასხმოდნენ თავს ჰალიკარნასს. ქალაქის მცველებმა დაინახეს, რომ თავდამსხმელი მხოლოდ ორი იყო და მათ შესახებ დარდად გამოვიდნენ. თვითმხილველები იხსენებენ, რომ ვიდრე მოკლავდნენ, ალექსანდრეს მებრძოლებმა ბევრი მოწინააღმდეგე გამოასალმეს სიცოცხლეს. სხვა ბერძენებმა, დაინახეს რა, როგორ კვდებოდნენ მათი თანამებრძოლები, მათ დასახმარებლად გასწიეს, რამაც ფართომასშტაბიანი შეტევა გამოიწვია. ორი მთვრალი ჯარისკაცის მიერ პროვოცირებული შეტევა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ალექსანდრეს ჯარისკაცებს რამდენჯერმე შეეძლოთ ქალაქის აღება, მაგრამ მან ვერ გაბედა ძირითადი ძალების ბრძოლაში



პასუხო დარტყმა მიაყენეს ოსმანთა იმპერიას. თურქებმა შერიისკენ დაიხიეს, რომელიც განასამხრეთით მდებარეობს. ინგლისელმა მზვერავმა რიჩარდ მაინერცპაგენმა მოიფიქრა, როგორ შეიძლებოდა მტრის მოტყუება. ციხესიმაგრეში გამაგრებულებს თვითმფრინავიდან ფურცლებზე დაბეჭდილი პროპაგანდისტული მოწოდებები და სიგარეტები ჩაუყარეს. გახარებულ თურქებს არც კი უფიქრიათ, რომ ინგლისელებმა თამბაქოს ნაცვლად ოპიუმში გამოიყენეს. მეორე დღეს ინგლისელების შეტევას თურქების მხრიდან წინააღმდეგობა არ მოპყლიდა – თურქებს ომისთვის არ ეცალათ...

რობა, მაგრამ სომხეთზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ იგი სენატმა ხელში დაკავებული თანამდებობიდან ხელში.

კანფეტები საბრძოლო მასალის ნაცვლად

ჩინეთის სახალხო მოხალისეთა და გაეროს ჯარებს შორის დაპირისპირების დროს კორეის ომის მსვლელობისას, მოხდა ბრძოლა შოცინის წყალსაცავთან, რომელიც 1950 წლის 27 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე მიმდინარეობდა. ჩინეთის 120-ათასიანი არმია ჩრდილოეთ კორეაში შევიდა და აიძულა გაეროს 20-ათასი ჯარისკაცი უკან, წყალსაცავისკენ, საკუთარი თავდაცვის პოზიციებისკენ დაეხია. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, ეს მოვლენები მაინც ჩინეთის გამარჯვებად ითვლება. შედეგად გაერომ მთლიანად გაიყვანა საკუთარი ჯარის ნაწილები ჩრდილოეთ კორეიდან. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც გაეროს ჯარების დამარცხება გამოიწვია, იყო კანფეტები „ტუტსი როლსი“. საზღვაო ფეხოსანთა ნაღმმტყორცნებს ცოტა ნაღმები დარჩათ. რადგან მტრის ცეცხლი თვითმფრინავებს დაჯდომის საშუალებას არ აძლევდა, გადაწყვიდა, საბრძოლო მასალების მიწოდება პარაშუტებით განხორციელებულიყო, მაგრამ ცუდი როლი ითამაშა ნაღმმტყორცნების ჭურვების დასახელებამ – „ტუტსი როლსი“. სამხედრო საწყობის თანამშრომელს არც კი უფიქრია, რისთვის იყო საჭირო ფრონტზე კანფეტები და საბოლოოდ, ჭურვების ნაცვლად ფეხოსანებს კანფეტები ჩაუყარეს. რა თქმა უნდა, ჯარისკაცებმა კანფეტები შეჭამეს და სამხრეთისკენ დაიხიეს, მაგრამ ნაღმმტყორცნების ჭურვები ამ სიტუაციაში მათ უფრო მეტად წაადგებოდა...

ბელა გველესიანი 568 90 81 22

ISSN 2233-3983



იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალს“ სტამბაში. ავლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com



თანამებრძოლებთან ერთად ნიდერლანდების ქალაქ დენ ჰალდერის დასაყრდენად გაემართა. მათ სურდათ ხელი შეეშალათ პოლანდიის ფლოტისთვის, თავის მძლავრ მოკავშირეს, ინგლისის ფლოტს შეერთებოდნენ. გენერალმა დაინახა, რომ მოწინააღმდეგის ფლოტი ყინულის სქელი ფენის გამო ვერ გადაადგილდებოდა. ჰუსარებმა შეუმჩნევლად შემოარტყეს ალყა გემებს. მტრების მოულოდნელი გამოჩენით დაბნეულმა პოლანდიელმა მებრძოლებმა იარაღი დაყარეს. ეს შემთხვევა ომების ისტორიაში ერთადერთია, როდესაც კავალერისტებმა შეძლეს შეტევა განეხორციელებინათ და მოწინააღმდეგის ფლოტი ჩაეგდოთ ხელში.

მტრის დევნაში ეხმარებოდა ორი კრეისერი და სანაპირო დაცვის ორი კატერი. ხომალდებმა ასზე მეტი წყალქვეშა გასროლა განახორციელეს. დევნა 68 საათზე მეტხანს გაგრძელდა, მოწინააღმდეგე კი სიცოცხლის ნიშანწყალს არ ავლენდა. ბოლოს ხელმძღვანელობის ბრძანებით შეწყდა უხილავი მოწინააღმდეგის დევნა. როგორც აღმოჩნდა, ცნობილი მებრძოლი მაგნიტურ საბადოს ებრძოდა, რომელიც რუკაზეც იყო აღნიშნული. ჰაბარდის ქმედებებმა ლამის სკანდალი გამოიწვია, რადგან იგი შეტევას ახორციელებდა ფსკერზე, რომელიც მექსიკას ეკუთვნის.

მთვრალი ჯარისკაცების შტაბის ადამიანები უხსოვარი დროიდან იბრძოდნენ.

კურიოზები მართო დღეს კი არა, ანტიკურ პერიოდშიც ხდებოდა. უცნაურ ბრძოლას თავად ალექსანდრე მაკედონელიც შეესწრო. მას უნდოდა სპარსელებისთვის ქალაქი



ჩაბმა. ალექსანდრე მაკედონელი ასე რომ მოქცეულიყო, ქალაქი დაცემოდა ორი მთვრალი ჯარისკაცის არაგონივრული სიამაცის წყალობით.

მტრის ბაზრუბა

პირველი მსოფლიო ომის დროს ბრძოლები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც თურქები თავს დაესხნენ ინგლისის კოლონიებს, 1917 წლის 5 ნოემბერს ამაყმა კუნძულებმა სა-

საერთო გაზეთი მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე